ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 4 აგვისტო 1999 №146 (919) | ფასი 50 თეთრი

2

ფოცხვერიას სპარტაკი უხმობს

ბულგარელი ბაჩევი თუ ქართველი ფოცხვერია: ოლეგ რომანცევმა ორიდან ერთი უნდა აირჩიოს

2

ძოძუაშვილმა საუდეთს გასწია

ქართველი მწვრთნელი თასთა თასის მფლობელ „ალ იტიჰადს" გაწვრთნის

6

ანრი არსენალში

ლონდონურმა კლუბმა მორიგი ფრანგი შეიძინა

8

შერეკილები

შვედი ნახევარმცველი სტეფან შვარცი 2002 წელს კოსმოსში გაფრენას აპირებს

12

რუსთაველები მინისტრის წინააღმდეგ

კორაჩის თასზე „აზოტის" მეტოქის, „ბკ კიევის" პრეზიდენტი ალექსანდრ ვოლკოვი უკრაინული სპორტის თავკაცად დაინიშნა

ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩი

ზიმბრუ — დინამო

4 აგვისტო. 20 საათი. კიშინიოვი. რესპუბლიკური

ალტმანს 1:0 უნდა, დინამოს — ეინდჰოვენი, დე სოუზას გოლის გატანა

კობა ინასარიძე

კიშინიოვიდან

კიშინიოვის რესპუბლიკურ სტადიონზე სანამ ჩვენი „დინამოს" მატჩისწინა ვარჯიშს დავესწრებოდი, აქაურ ქუჩებში გავიარ-გამოვიარე. თქვენ წარმოიდგინეთ, მთავრობის სახლის, პარიზის ტრიუმფალურის მსგავსი თაღისა და „ზიმბრუ" — „დინამოს", ასევე სექტემბერში, კიშინიოვში დაგეგმილ ხულიო ეგლესიასის კონცერტების მაუწყებელი აფიშების გარდა ღირსშესანიშნავი რომ ვერაფერი ვნახე, გუშინდელივით ისევ გაზეთების ჯიხურს მივადექი და ისევ გაწბილებული დავრჩი. ნუთუ შეიძლება, ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩის წინ გაზეთებში არაფერი ეწეროს-მეთქი, გავიფიქრე, ხელი ჩავიქნიე და სასტუმროს მოვაშურე.

ფოიეში ერთი ჭარმაგი კაცი სიგარას ისე გულმოდგინედ აბოლებდა, სახის ნაკვთებს ვერ გაარჩევდით. გვერდზე ჩავუარე და ერთი წუთით, შემაჩერა.

— გუშინაც შეგნიშნეთ, საქართველოდან ხართ, არა? — მკითხა და თავი გამაცნო, ერთი მშრომელი კაცი ვარ, სოხუმი ძალიან მომენატრა, ბიჭობაში სულ იქ დავდიოდი, კარგ დროს ვატარებდი, მითხარი ერთი, რა ხდება აფხაზეთში. ისეთი თვალები ჰქონდა, ლამის აცრემლებულიყო. საუბარი დიდხანს არ გაგვიგრძელებია, თანაც ვარჯიშზე მაგვიანდებოდა. ჩვენთან დნესტრისპირეთშიც ფაქტობრივად იგივე მდგომარეობააო, სევდიანად მომაყოლა სიტყვა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ ფოიეში გავლა მომინდა და ამჯერად უკვე თავად ვთხოვე, თუ შეიძლება, ეგ გაზეთი მათხოვეთ-მეთქი, ბოლო გვერდზე ნაცნობი კაცის ფოტო დავლანდე და იმიტომ. რა თქმა უნდაო, გაზეთი მომაწოდა. შევატრიალე და აგერ, ბატონო, ერთი მოლდოველი ბაბუს ხელში ის ვნახე, რასაც ორი დღე ვეძებდი — „ზიმბრუს" მწვრთნელის, სემიონ ალტმანის მოკლე ინტერვიუ იყო დაბეჭდილი. სწრაფად ჩავიკითხე და უკანვე დავუბრუნე. წაიღეო, მითხრა, მაგრამ ისიც შევნიშნე, გაზეთის დათმობა დიდადაც რომ არ ეპიტნავებოდა და ვიუარე.

ალტმანი ამბობდა, რომ თბილისის „დინამომ" მასზე ძალიან კარგი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. ქართველებს უფრო დიდი ანგარიშით შეეძლოთ, დავემარცხებინეთ, მაგრამ მეკარე რომანენკომ ერთი ორჯერ წარმოუდგენელი ბურთები აიღო და „ეინდჰოვენთან" თამაშის შანსი დაგვიტოვა. 1:2 მთლად ცუდი ანგარიში არ არის. ახლა მთავარია, როგორმე ერთი გოლი გავიტანოთ და ჩვენი კარი საიმედოდ დავიცვათ. ალბათ, თბილისური მატჩის მსგავსად დინამოელ თავდამსხმელებს ახლაც არ გაუმართლებს. მათ პირველი თამაშისას მხოლოდ ორი გამოიყენეს, ისიც მაშინ, როცა ფაქტობრივად მატჩის ბედი გადაწყვეტილი გვეგონა. ბერკოს რომ მეორედაც გაეტანა, რისი რეალური შანსიც ჰქონდა, დარწმუნებული ვარ, თბილისში გავიმარჯვებდითო. მთავარი კი რაც დამამახსოვრდა, ეს იყო — როგორ დამთავრდება საპასუხო მატჩი არ ვიცი, მაგრამ ფავორიტი „დინამოა"...

საღამოხანს ერთიც ვცადე, კვლავ ჯიხურთან შევჩერდი, რომელიმე სპორტული გაზეთი თუ გაქვთ-მეთქი, ვკითხე მომხიბვლელ გამყიდველ გოგონას. არის, როგორ არაო, მიპასუხა და როგორც მოგვიანებით შევიტყვე, მოლდოვის საუკეთესო სპორტული გამოცემა — 3 აგვისტოს „სპორტ კურიერი" მომაწოდა. გაზეთში დღევანდელ მატჩზე ბევრი არაფერი წერია, მხოლოდ რამდენიმე, ჩვენთვის საინტერესო წინადადება ამოვიკითხე. პირველ გვერდზე მცირე შრიფტით მოწოდებაა, მხარი დავუჭიროთ „ზიმბრუს" ქართველების წინააღმდეგო. მეშვიდეზე კი მოზრდილშრიფტიანი სათაური მომხვდა თვალში — „ხვალ, ან არასდროს!" — წერენ აქაური კოლეგები და მცირე ტექსტში „დინამოს" ევროტურნირებში გამობრძმედილ, ძალიან ძლიერ მეტოქედ მოიხსენიებენ. ქართველებს ფეხბურთის თამაში შეუძლიათ, ჰოლანდიელმა მწვრთნელებმა კი, რომლებიც „დინამოს" ავარჯიშებენ, თავიანთი საქმე მშვენივრად იციანო. სხვათა შორის, ამავე გაზეთიდან შევიტყვე, რომ მოლდოვის ჩემპიონატის მეორე ტურში, რომელშიც „ზიმბრუს" არ უთამაშია, ქართველების „შერიფს" „ენერგეტიკი" სტუმრად 6:0 დაუმარცხებიათ. ერთი გოლი დავით მუჯირის ანგარიშზეა.

იხილეთ მეორე გვერდი

ვესტფოლი სტეფანიას აქებს და მომავალ სეზონში ცენტრის ადგილს უმზადებს

— ვნევარ, ვისვენებ, ამ დღეებში ძალიან დავიღალე — მითხრა გუშინ ვლადიმერ სტეფანიამ, როცა ჩიკაგოში დავუკავშირდი. ინტერვიუსთვის თუ გცალია-მეთქი, დავეკითხე. კი, როგორ არა, ვილაპარაკოთ... მერე ვიღაცას ინგლისურად გასძახა, საქართველოდან მირეკავენო და ისევ მე მომიბრუნდა: სულ ერთი წამი, მაგნიტოფონს ჩავუნევ და...

საუბარზე არასდროს უთქვამს უარი. ამას წინათაც წამოსცდა, ქართულ ლაპარაკს რომ გავიგებ, ბავშვივით მიხარიაო. მართლაც სხვანაირად გამოხატავს ვოვა სიხარულს, რაღაცნაირად მიამიტი ხდება, თვალებიც უბრწყინავს ხოლმე... ახლაც დაახლოებით ამგვარად წარმოვიდგინე ვლადიმერ სტეფანია. „სიეტლ სუპერსონიქსის" ქართველ კალათბურთელს თითქოს დაღლაც გადაავიწყდა. ვგრძნობ, რომ ყურადღებაც ძალიან სიამოვნებს. თვითონაც ხომ ასეთია, ყურადღებიანი, თავაზიანი...

ინტერვიუ ვლადიმერ სტეფანიასთან და მის შესახებ „სიეტლის" მწვრთნელის პოლ ვესტფოლის აზრი
იხილეთ მეთერთმეტე გვერდზე



ვლადიმერ სტეფანია

ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩი

ზიმბრუ — დინამო

4 აგვისტო. 20 საათი. კიშინიოვი. რესპუბლიკური

ალტმანს 1:0 უნდა, დინამოს — ეინდჰოვენი, დე სოუზას გოლის გატანა

დასაწყისი პირველ გვერდზე

გუშინვე გავიგე, რომ შესაძლოა, „ზიმბრუს“ აქამდე ტრავმირებული ოლეგ ფისტიკანი დაემატოს, მას მტკივანი ფეხი თითქმის მოშუშებია. სამაგიეროდ, საეჭვოა თბილისში გოლის გამტანი ბერკოს თამაში, გუშინწინდელ ვარჯიშზე მას ფეხი გადატრიალებია.

რესპუბლიკური სტადიონის ადმინისტრაციის თქმით, ტრიბუნები ალბათ შეივსება — 9-ათასიანი სტადიონი ანშლაგის მოლოდინშია. ჰა-ჰა, ყველაზე ცოტა 7 ათასი კაცი დაესწროს „დინამოსთან“ ჩვენებურთას მატჩსო.

თბილისელებმა კი გუშინ ექვსის ნახევარზე დაიწყეს ვარჯიში. ბოსკამპს შეგირდები დიდად არ დაუტვირთავს. მოთელვა და მეოთხედ მინდორზე ერთი შეხებით კვადრატი გააჩაღებინა. აგღიკვანე, აგღიკვანეო, კინალამ ხმა ჩაუწყდა მწვრთნელს, რომელსაც ცოტა ენა გაუტეხია და ფეხბურთელებს პერსონალური მეურვეობისკენ მოუწოდებდა. გუნდში ძალიან კარგი განწყობაა. ბიჭები დარწმუნებულნი არიან, რომ შემდეგ ეტაპზე სწორედ ისინი გავლენ.

დღევანდელ შემადგენლობაში კი პირველ მატჩთან შედარებით რამდენიმე ცვლილებაა მოსალოდნელი. მარცხენა მცველად ბოსკამპი რატი ალექსიძეს უპირებს გამწესებას, მარცხენა ნახევარმცველად — ლევან ხომერიკს. მარჯვენა მცველის პოზიციაზე შაშიაშვილის ნაცვლად, ალბათ, ოთარ ხიზანეიშვილი ითამაშებს. დანარჩენები სავარაუდოდ ისევ ისინი იქნებიან, რომლებმაც „ზიმბრუ“ უკვე დაამარცხეს. თავდასხმაშიც ამვეთია — დე სოუზას დუეტი ეცდება მასპინძლების დაფრთხობას. დე სოუზამ თქვა, გოლი უნდა შევაგდოო. ვნახოთ.

...კიშინიოვში ძალიან გრილა. ახლა ტემპერატურა დაახლოებით 18-19 გრადუსია. ჩამოსულებს აქაურებმა შემოგვჩივლეს კიდეც თბილისიდან მზე მაინც წამოგეღოთო.

ხვალ კიშინიოვის რესპუბლიკურ სტადიონთან მისადგომ, „ზიმბრუს“ ემბლემაზე გამოსახულ დომბას კუდივით მიხვეულ-მოხვეულ გზებს ადგილობრივი, სომბრეროებში გამოწყობილი ინსპექტორები გადაკეტვას უპირებენ. ანშლაგია მოსალოდნელიო, ამბობენ. ჩვენებურებიც, ღმერთმა ქნას, დომბასავით შეუპოვარნი იყვნენ და...

Завтра - или никогда!

„ხვალ ან არსაოდეს!“ — ფიქრობენ მოლდოველი ჟურნალისტები

შახტარელი მიხეილ ფოცხვერია ტერნოპოლელთა კარს უტევს

მიხეილ ფოცხვერია შეიძლება მოსკოვის სპარტაკში გადავიდეს

ვის აირჩევს 25 ნომრად რომანცევი ქართველ ფოცხვერიას თუ ბულგარელ ბაჩევს?

ДОНЕЦКИ „შახტარის“ 25 წლის ფორვარდი მიხეილ ფოცხვერია შეიძლება რუსეთის გრანდის, მოსკოვის „სპარტაკის“ წევრი გახდეს. რუსეთში ახლა სატრანსფერო პერიოდია გახსნილი და კლუბებიც აქტიურად ცდილობენ ნიჭიერი ახალგაზრდების გადაბირებას.

ასე მაგალითად, „ალანიაში“ შეიძლება გამოჩნდნენ 19 წლის სომეხი არა აკოფიანი და 19 წლის ნიგერიელი. მოსკოვის „დინამო“ ლიტველ ლეუს გადაბირებას ცდილობს. „სპარტაკმა“ კიდევ 2 ფეხბურთელი შეარჩია. როგორც გუშინ გახდა ცნობილი, ესენი ბულგარეთის „სლავიას“ 22 წლის ფორვარდი გეორგი ბაჩევი და „შახტიორის“ ქართველი ლეგიონერი მიხეილ ფოცხვერია არიან.

ბაჩევს მოსკოვში გუშინ ელოდნენ, მაგრამ მოულოდნელად იგი არ ჩავიდა. რუსულმა მედიამ ფეხბურთელს აგენტ მირჩე დიმიტროვუსთან გაარკვია, რომ ბაჩევი თურმე სხვა კლუბს ეკუთვნის, რომელმაც „სლავიას“ 200 000 დოლარი მოსთხოვა, რაც თანამედროვე ბულგარეთის პირობებში ძალიან დიდი თანხაა. ამის გამო შეიძლება „სლავია“ — „სპარტაკის“ გარიგება ჩაიშალოს.

გუშინვე „სპარტაკმა“ უეფაში 24 კაცის სია გააგზავნა, რომლებიც კლუბის ღირსებას ჩემპიონთა ლიგაში დაიცავენ. მათ შორის არც ბაჩევია და არც ფოცხვერია.

თუმცა რომანცევს ერთი ადგილი სიაში თავისუფალი აქვს ან ბაჩევისთვის, ანაც ფოცხვერიასთვის. საქმეს კი ისეთი პირი უჩანს, რომ ფოცხვერია სპარტაკელი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს, თუ „სპარტაკი“ მსოფლიო ჩემპიონატზე ნათამაშევ ბაჩევს ვერ იყიდის.

აღსანიშნავია, რომ „შახტარმა“ ევროპის ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას უკვე შეატყობინა, რომ ფოცხვერია უეფას თასზე იასპარეზებს. ანატოლი ბიშოვეცმა ქართველს №23 მაისურა უბოძა. შეგახსენებთ, რომ წინა სეზონში „შახტარს“ ქართველი „დნიპროში“ ჰყავდა განათხოვრებული, სეზონის ბოლოს კი იგი ბიშოვეცმა დაიბრუნა, თუმცა ფოცხვერიას სეზონისწინა მზადება ჩაუვარდა. ჩეხეთში ყოფნისას მიხეილმა ტრავმა მიიღო.

სიმონ მენაბდე

ბურგმა დელეგაციის ფოტო

ძოძუაშვილის ახალი მისამართი: საუდეთი, იედანი, ელ იტიჰადი

რევაზ ძოძუაშვილი

ИЕДАНИС „ალ იტიჰადი“ იქნება ის კლუბი, რომელსაც რევაზ ძოძუაშვილი ახალ სეზონში გაწვრთნის. ეს გუშინ ჩვენმა ლატვიელმა კოლეგამ, აშკოლდს ალდრიკისმა შეგვატყობინა. რევაზ ძოძუაშვილი მეუღლესთან და შვილიშვილთან ერთად გუშინ გაეშურა საუდეთის არაბეთს აზიის თასების თასის წლევანდელი გათამაშების მფლობელ კლუბთან კონტრაქტის გასაფორმებლად.

წინასწარი შეთანხმება არსებობს და სასწაული უნდა მოხდეს, ძოძუაშვილმა კონტრაქტი საკუთარი ხელმოწერით არ დაამშვენოსო.

„ალ იტიჰადი“ აბუ დაბის ეროვნული ბანკის გუნდია და აზიის თასების თასი სამხრეთკორეულ „ცუნამისთან“ დამატებით დროში 3:2 მოგებით მოიპოვა.

მაშ ასე, ძოძუაშვილი ლატვიის ნაკრების მწვრთნელი აღარაა. ამ პოსტზე აღზევების მთავარი კანდიდატი „სკონტოს“ თავკაცი ალექსანდრ სტარკოვი კი ჯერჯერობით დუმს. ოთხშაბათს ბუქარესტის „რაპიდთან“ თამაში მელის და მას რომ დავამარცხებთ, ნაკრებზე მერე ვილაპარაკოთო.

ვახტანგ ბზიკაძე

მეუსს შეყილაძე ძალიან მოსწონს

БЕЛГИИС „ლიერსის“ ქართველმა მცველმა, 29 წლის გელა შეყილაძემ საკონტროლო შეხვედრებში კლუბის ხელმძღვანელ ვალტერ მეუსს ისე მოაწონა თავი, რომ მას ყველა მატჩში ათამაშებს. ჰოლანდიურ „უტრეხტთან“ შეყილაძეს, ბურგთან და პაილმანთან ერთად, ძირითადში 90 წუთი გაატარებინეს.

„უტრეხტი“ „ლიერსმა“ არ დაინდო — 5:2 მოუგო. გოლები „ლომელიდან“ გადმოსულმა სპიტერმა (2), სომერსმა და ბურგმა გაიტანეს.

წუხელ კი „ლიერსი“ საკუთარ მინდორზე ბარსელონის „ესპანიოლს“ შეხვდა და მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტაიმი 1:0 მოიგო, საბოლოოდ 1:2 დამარცხდა. შეყილაძემ ისევ ძირითადში ითამაშა.

სიმონ მენაბდე

არჩილ არველაძე

ბრედამ არჩილი განაცხადში შეიყვანა

ГУШИН ჰოლანდიის მეორედივიზიონელმა ნაქ ბრედამ ახალი სეზონისთვის საბოლოო შემადგენლობა დაასახელა. აჩიკო არველაძე კვლავ ბრედელია. კლუბში მასზე დიდ იმედებს ამყარებენ. „ბრედაში“ რამდენიმე ახალწვეულია, მათ შორის ბრაზილიელი სერჟიო. ბოლო საკონტროლო მატჩში „ბრედელებმა“ 5:2 მოუგეს უმაღლესი დივიზიონის დებიუტანტ როტერდამის „სპარტას“. მასპინძლებმა მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს: კარელსე, რიი (ატმოდიკორო 78), დე ჰოგი, ვან ასი, სტეიჯი (ბრაუერსი 78), ვერსტეგი, ჰანსენი (კრისტინო 63), შრაიდერი, საიმონსი, სერჯიო, გუდელი. გოლები სერჯიომ (2), საიმონსმა, კრისტიანომ და შრაიდერმა გაიტანეს. აღსანიშნავია, რომ ეს ზედიზედ მეორე საკონტროლო მატჩია, რომელშიც უმცროსი არველაძე არ მონაწილეობს. 16 აგვისტომდე, მეორე დივიზიონში სეზონის დაწყებამდე, „ბრედა“ რამდენიმე ამხანაგური მატჩს გამართავს, მათ შორის ყატარის ეროვნულ ნაკრებთანაც.

სიმონ მენაბდე

ნალჩიკელი ამაშუკელი

БЕСИК ამაშუკელის საფეხბურთო ოდისეა გრძელდება. ძნელად მოიპოვება საქართველოში ფეხბურთელი, რომელსაც ამდენი გუნდის მაისურა გამოეცვალოს. სად არ უთამაშია ამაშუკელს — ოზურგეთის „მერცხალი“, „მრეტები“ „სამტრედია“, ფოთის „კოლხეთი“ — ეს მარტო აქ, თორემ ისე რუსეთის ლიგასაც მოუსინჯა ბესომ კბილი, იქაურ ტოლიატის „ლადაში“ თამაშობდა.

და აი, ახალი გუნდიც — ამიერიდან რუსეთის ჩემპიონატის პირველი დივიზიონის მეათეადგილოსან ნალჩიკის „სპარტაკს“ კიდევ ერთი ქართველი — ბესიკ ამაშუკელი შეემატება. როგორც ფეხბურთელის მეუღლემ გვაცნობა, ბესო უკვე მოეწყო ნალჩიკში, გუნდის ხელმძღვანელობას პირობებზეც შეუთანხმდა და კონტრაქტსაც მალე გააფორმებს. იმას კი, რამდენხნიანი იქნება „სპარტაკ“ — ამაშუკელის ხელშეკრულება, ცოტა ხანში თავად ფეხბურთელი გვაცნობებს.

მაშ ასე, ნალჩიკის „სპარტაკში“ მეორე ქართველი ითამაშებს. პირველი კი, „სარბიელის“ მკითხველმა უკვე იცის, ვასილ სეფაშვილია, რომელიც 13 გატანილი გოლით პირველი დივიზიონისა და თავისი გუნდის ბომბარდირია.

კაატა რურუა

რაც მტროობას უშვენებია სიყვარულს დაუგბრევია

ამ ნერილის წაკითხვის შემდეგ, ადვილი შესაძლებელია, ზოგიერთმა თქვენგანმა ასეთი დასკვნა გააკეთოს — დიდი ფულით სასწაულის მოხდენა შეიძლებაო. უმისოდ მართლაც ძნელია ჩანაფიქრის განხორციელება, მაგრამ მარტო ფულით რომ არაფერი კეთდება, ცხოვრებამ მრავალჯერ დაგვანახვა... ვიდრე საქმეს წამოიწყებ, ჯერ იდეა უნდა გაგიჩნდეს. იდეა კი ჰაერიდან როდი მოდის, იგი კარგა ხნის ფიქრის შედეგად ეწვევა ხოლმე გონებას და მოსვენებას არ აძლევს. ხშირად გაიგონებდით ამ კაცს იდეები აწუხებსო. შეწუხებულ მდგომარეობაში ყოფნა კი, დამეთანხმებით, არავის ეპიტნავება. ჰოდა, ადამიანიც ცდილობს, რაც შეიძლება, დროზე შეასხას ხორცი ჩანაფიქრს, რაც შეიძლება, მალე განთავისუფლდეს იდეისგან. ამას სურვილის ასრულება ჰქვია. მისი მიღწევისთვის კი სიყვარულია მთავარი. რაც უფრო ძლიერია ეს გრძნობა, მით უფრო ჯიქურ მიიწევ მიზნისკენ და შუა გზაზე ვერ შეჩერდები.

გოგი ხაზარაძე და გივი ჭანტურიძე



„მიხეილ მესხის“ სტადიონის რეკონსტრუქცია მოედნის განახლებით დაიწყო

— სარწყავ სისტემასაც გაითვალისწინებდით...

— რა თქმა უნდა. 150 მეტრი სიღრმის არტეზიული ჭა გავაკეთეთ.

— ძველ გასახდელებს გაარემონტებთ?

— არა. აღმოსავლეთ მხარეს იქ, სადაც ტრიბუნები არაა თანამედროვე ტიპის შენობა აიგება. სწორედ მასში განთავსდება გასახდელები, საშხაპეები, მსაჯთა ოთახი, პრესკონფერენციის დარბაზი, სამედიცინო ცენტრი და სხვა. დიდი ოთახების ფართობი 80-100 კვადრატული მეტრი იქნება.

— ესე იგი ტრიბუნები მხოლოდ დასავლეთ მხარეს იქნება, ანუ როგორც არის, ისე დარჩება.

— დიახ. ოღონდ ინდივიდუალურ პლასტმასის სკამებს დავამონტაჟებთ. ზუსტი ტევადობა ჯერ არა გვაქვს განსაზღვრული, თუმცა 15 ათასზე მეტი მაყურებელი მოთავსდება.

— განათებაზე და ტაბლოზე რას გვეტყვით?

— ორივე საკითხი გათვალისწინებულია. ისეთი პროჟექტორები დამონტაჟდება, რომლებიც უზრუნველყოფენ, სრულად გაანათონ სათამაშო მოედანი. უეფას მოთხოვნებს აუცილებლად დავაკმაყოფილებთ. ასე რომ, პრობლემა არ იქნება, მატჩები შედარებით გვიან დავიწყოთ. ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისი ახალი ელექტრონტაბლოც დაიდგმება.

— გავიგეთ, სათადარიგო მოედანსაც აკეთებთ.

— გასახდელების უკან მართლაც გაშენდება სათადარიგო მოედანი. ისიც პარალელურად გაკეთდება.

— სარბენ ბილიკებს დატოვებთ?

— არა. ეს სტადიონი წმინდა საფეხბურთო არენად იქცევა. ამის გამო სარბენი ბილიკების გაუქმება მოგვიწევს.

— მოედნის ზომებიც გვაინტერესებს.

— სიგრძე — 105 მეტრი, სიგანე — 68 მეტრი. მოედანს ირგვლივ ინდივიდუალურ ღობეს შემოვავლებთ.

მინდვრის საფარი კი პირით ხაზს 7,5 მეტრით გასცდება, გვერდით ხაზს — 5 მეტრით. ამით ფოტორეპორტიორებს სამუშაოდ საკმარისი რეჟიმი ექნებათ.

ასევე შემოგდობავთ მოედნის მიმდებარე ტერიტორიას და ამას ეკეთებინ ოწყობაზეც ვიზრუნებთ. ჩვენ მფლობელობაში 24 ჰექტარი მიწის ნაკვეთია თავისი გამწვანებით.

— ვაკის სტადიონი დღეს მიხეილ მესხის სახელობისაა...

— ეს ჩვენი სურვილით მოხდა. თუმცა გადაწყვეტილება იურიდიულად არაა დამტკიცებული. ამისთვის შესაბამისი უწყებებისა და ქალაქის მერიის დადგენილებაა საჭირო.

— სხვა სახელს უნდა ველოდოთ?

— არა მგონია. დედაქალაქის ცენტრალური სარბიელი ბორის პაიჭაძის სახლობისაა. არ იქნება ურიგო, ვაკის სტადიონი მიხეილ მესხის სახელს ატარებდეს. თანაც ისიც გავითვალისწინეთ, რომ მიშამ საფეხბურთო კარიერა თბილისის „ლოკომოტივში“ დაასრულა.

— რამდენი წელია, რაც ეს მოედანი ფუნქციონირებს.

— მისი შენება 1949 წელს დაიწყო. აქ სამამულო ომში დატყვევებულ გერმანელ ჯარისკაცებს ამუშავებდნენ. სტადიონი 1957 წლის 17 სექტემბერს გაიხსნა. ერთი პერიოდი ამ არენაზე „დინამოც“ თამაშობდა. მაშინ ცენტრალური სარბიელის რეკონსტრუქცია მიმდინარეობდა. თავიდან ვაკის მოედანს „ბურევესტნიკის“ სპორტული საზოგადოება კურირებდა, რომელიც მერე ფინანსური მდგომარეობის გამო ჩამოსცილდა. 1966 წელს რკინიგზის დეპარტამენტმა ითავა მისი მატერიალურად უზრუნველყოფა.

— „მიხეილ მესხის“ გაახლება დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული.

— ალბათ. კომპეტენტური არ გახლავართ. ერთი რამ კი აუცილებლად უნდა გითხრათ — სიჭაბუკის წლებიდან ამ სტადიონზე ვმუშაობ. ამ ხნის მანძილზე რკინიგზის დეპარტამენტმა შვიდი ხელმძღვანელი გამოიცვალა. აკაკი ჩხაიძე მეშვიდეა თუმც სპორტში საქმიანობით წინამორბედებთან უცილოდ პირველობას იმსახურებს.

გივი ჭანტურიძესთან დიალოგს რომ მოვრჩი, რკინიგზის დეპარტამენტის სამშენებლო სამმართველოს უფროსთან, გოგი ხაზარაძესთან ვცადე გასაუბრება. „ლოკომოტივის“ სტადიონის რეკონსტრუქციას სწორედ იგი ხელმძღვანელობს. მაინტერესებდა, ამხელა საქმის წამოწყება რა თანხებთან იყო დაკავშირებული.

— ძნელია, წინასწარ განისაზღვროს ზუსტი ციფრი. თავადაც ხედავთ, გრანდიოზული სამუშაოები მიმდინარეობს. რეკონსტრუქციის პროცესში უამრავ გაუთვალისწინებელ წვრილმანებს წავაწყდებით. ფინანსური აღრიცხვიანობაც შესაბამისად გაკეთდება. მთავარია, ყველამ იცოდეს, რომ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ. ეს სტადიონი ერთ-ერთი საუკეთესო იქნება, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. მოსკოვის „ლუჟნიკებს“ აჯობებს — არაორაზროვნად მითხრა ხაზარაძემ.

ღმერთმა ქნას ასე მოხდეს. გერმანელი ტყვეების მიერ რვა წლის განმავლობაში ნაშენებ სტადიონს ერთ წელიწადში ქართველებმა ისე უცვალონ სახე, სილამაზით ყველას თვალი მოვჭრას.

ხვიჩა სანიკიძე

„მიხეილ მესხის“ სტადიონის მოედანს პირველ ფენად ეს ხრეში დაედება

სტადიონის ხედი აღმოსავლეთიდან

მიდიან, მიდიან, მიდიაააან...

მირიან გეწაძე სულით და ხორცით ზესტაფონელი კია, მაგრამ მის ცხოვრებაში იყო მომენტები, როცა ზესტაფონურ სხეულს სულ სხვა ქალაქის მაისურა მოსავდა. „ტორპედო“, „მერანი“ ის გუნდებია, სადაც კარგა ხანი აგორა ბურთი მირიანმა, მერე კვლავ „მარგვეთის“ დაუბრუნდა და კინაღამ მშობლიურ გუნდთან ერთად პირველ ჯგუფში ამოყო თავი.

ზესტაფონელების აღმა ხნული ვანელებმა დაბლა ფარცხეს და ახლა „მარგვეთი“ კვლავ მეორე ჯგუფელია, გეწაძე კი ძველ მეგობარ გელა ფანჩულიძესთან ერთად (რომელიც ამჟამად ფოთის „კოლხეთშია“) საისრაელოდ ემზადება. სად და რომელ ებრაულ გუნდში ითამაშებენ ბიჭები, ჯერ თავად არ იციან, მაგრამ თუკი ეს ვარიანტი არ გამოუვიდათ, ისევ საქართველოს მოაშურებენ.

— ფანჩულიძის აბა, რა გითხრათ და თავად ან „მერანში“, ანაც სამტრედიის „იბერიაში“ ვითამაშებ. ორი დღის წინ უკვე ვესაუბრე სამტრედიელთა პრეზიდენტს ნუგზარ ნიკოლაიშვილს და დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

ისე, ქართულ „მიდი-მოდიზე“ ზედ გამოჭრილია დუმბაძის „თეთრი ბაირაღის“ გმირის მოშიაშვილის სიმღერა, „მიდიან, მიდიან, მიდიანო“ რომ გასძახოდა ყოველ დილით.

იქნებ ფედერაციაშიც დაუშვან მომღერლის შტატი.

ლუკა თალაკვაძე

ზესტაფონში დაექებენ საპოვნელას

მანჩესტერი, ლივერპული, მილანი, ტურინი, ბარსელონა და ზესტაფონი (!)...როგორ გგონიათ, რა აქვთ საერთო ამ ქალაქებს? უკაცრავად პასუხია და ფეხბურთი. და კიდევ ის, რომ ამ ქალაქებს ორ-ორი საფეხბურთო კლუბი უვისთ. მანჩესტერი „იუნაიტედით“ და „სიტით“ იწონებს თავს (თავი მწამს, ბოლო მაკვირვებს), ლივერპული ისევ „ლივერპულითი“ და „ევერტონითი“, ტურინში ბებერ ქალბატონს „ტორინო“ აძლევს მოძახილს და „ფ.კ. ბარსელონა“ და „ესპანიოლი“ ხომ თანაქალაქელები არიან და თანაქალაქელები.

კუმ ფეხი გამოყო (მეც პენალტი დამარტყმევინეთო) და ამიერიდან ზესტაფონიც ორ გუნდს უპატაკებს ქართულ ფეხბურთს — ერთი მათგანი მრავალტანჯული „მარგვეთია“, მეორე კი მისი წინაპარი და ფეროს შვილობილი „მეტალურგი“.

ჰოდა, ვინაიდან და რადგანაც, იმერეთის ქალაქები იმერეთისავე გუბერნატორის განცხადებით, „ევროპული ყაიდის ეროვნულ ქალაქებად“ უნდა გადაიქცნენ, ზესტაფონურ ფეხბურთშიც წმინდა წყლის (არა ყვირილასებური) ევროპული კონკურენცია გაჩაღდა და აგერ გუშინწინ შექმნილ-დაფუძნებულმა „მეტალურგმა“ გვარიანად „დაჩუხანა“ (ვსეც იმერულია) მეზობელი „მარგვეთი“ — სტადიონი ხომ სტადიონად ააწაპნა, ახლა ფეხბურთელებსაც ართმევსო და სხვა რაღაა კონკურენცია.

ისე ცოტა კი გაუჭირდებათ „მარგვეთის“ მოთამაშეებს „მეტალურგში“ არგადასვლა — მეტალურგებს ხელფასებად სულ 250-400 ლარი ექნებათო და ეს ხუმრობა საქმე არ გახლავთ, თქვენი ჭირიმე, ამ გაგანია დოლარის დევალვაციის პირობებში.

უსტადიონოდ დარჩენილ „მარგვეთს“ კი ისღა დარჩენია, „ზესტაფონო, ზესტაფონო, გშორდები“ იღიღინოს და თერჯოლაში, „საპოვნელას“ სტადიონზე იპოვოს საპოვნელი. ამაში კი მათ ახალი მწვრთნელი ზაზა გურიელიძე დაეხმარებათ.

კონსტანტინე გოგიშვილი

რა მერანი გავერანდეს

— „მერანს“ მოსამზადებელი პერიოდი არ ჩავარდნია, მაგრამ, ვერც ნორმალურს ვუწოდებ გუნდის მზადებას. ყველაზე მეტად მინდვრის უკმარისობას განვიცდიდით. ხრეშზე და ქვიშაზე კი აბა, როგორი სათამაშოა ფეხბურთი. მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის განახლებამდე კიდევ ათი დღე ხუთი ვარჯიში „სინთეზზე“ და სამი საკონტროლო შეხვედრა დამრჩა. ხუთი ვარჯიშით და სამი საკონტროლო შეხვედრით უნდა შევძლო რიგი პრობლემების გადაჭრა.

რას მოველით ამ სეზონისგან? გიპასუხებთ, რომ შარშანდელთან შედარებით მეტად გაგვიჭირდება. მართალია, ამ მომენტისთვის „მერანში“ 27 ფეხბურთელი ირიცხება და მათი რიცხვი 19-მდე უნდა შემცირდეს, მაგრამ მართალს გეტყვით, ოპტიმიზმის საფუძველი არა გვაქვს. გუნდი დატოვეს იმ დონის ფეხბურთელებმა, რომელთა ოსტატობითაც გადიოდა ფონს „მერანი“. შევსება კი ვერაა სრულფასოვანი, რაოდენობა არის, ხარისხის რა მოგახსენოთ.

ეს სიტყვები სერგო გაბელაიამ „მერანი“ — მოყვარულთა ნაკრების მატჩის წინ გვითხრა. ტრანსპორტელებს რომ შემადგენლობაში პრობლემები აქვთ, ეს ამ შეხვედრამაც დაადასტურა

— „მერანი“ ერთი ხანი აგებდა კიდეც, მაგრამ მერე ძლივს იძალა და 2:1 გაიმარჯვა.

თვალში საცემი ყველაზე მეტად ის არის, რომ მერანში უფრო მეტი მცველია, ვიდრე თავდამსხმელი და ნახევარმცველი. აქედან გამომდინარე, გუნდს უჭირს ბურთის გატანა და რას იზამს, რა გზას ეწევა გაბელაია, დრო გვიჩვენებს.

გაბელაიას გზა ვახსენეთ და რახანია „მერანის“ მწვრთნელი კიოლნიდან ვიზას ელის, რათა იქაური სამწვრთნელო სკოლის მსმენელი გახდეს — საქმის კურსში არიან სფფ-სა და „მერანის“ პრეზიდენტები — ჟორდანია და ნავაძე. ვნახოთ, ეგებ მალე მომივიდეს გერმანიიდან შეტყობინებაო.

მანამდე კი ტრანსპორტელთა მწვრთნელს აქ მოუწევს ოფლის ღვრა — 6 და 7 აგვისტოს რუსთავი და თბილისი უმასპინძლებს ოთხთა ტურნირს, სადაც ერომანეთს „გორდა“, „თბილისი“, „მერანი“ და მოყვარულთა ნაკრები შეეჯიბრებიან, მერე 9-ში მერანელები „ჭაბუკიანს“ უმასპინძლებენ „სინთეზზე“ და...

მერე შეთერთმეტე ჩემპიონატიც მოვა, აბა სად წავა...

კონსტანტინე გოგიშვილი

საზაფხულო მიდი-მოდი

«ა» ზონა	წასულები	ახალწვეულები	მატჩები
დინამო *ოთარ ბოსკაშვილი*	ლ.მიქაძე(თბილისი),ა.მუჯირი,ტულუში(ბათუმი),გვარამაძე(ჭრელია სოვეტოვი, რუსეთი),სოლოლაშვილი(დილა),კვარაცხელია(თბილისი), გოგიჩაიშვილი,ქუბაძე (ლოკომოტივი)მ.მაჭავარიანი,შ.რომახიძე(?)	ს.გიგაძე,ვ.გიგიაძე(იბერია),გ.შენგელია(სამგურალი),ჭიჭვეიშვილი,სიჭინავა,ლ. ხომერიკი(ბათუმი), ხიზანეიშვილი(თბილისი),თ. კობიაშვილი,შაშიაშვილი(თსუ),ლომაია(მერანი), გრიშკაშვილი(ალაანია,რუსეთი),დე სოუზა(გუარანი,ბრაზილია), დონდღი(ლოკერენი,ბელგია),ზირაქიშვილი(არსენალი),ბაითაშვილი,ქემოკლიძე, გ.მიქაძე,ო.გველესიანი,აბრამიძე,ზ.ხიზანიშვილი(თბილისი)	ერევანი (სომხეთი) 0:0, ქიფაში (ანჯრაფოვკანი) 1:1, ტორპედო 3:1, ჰოვარდი (ჰოლანდია) 1:0, რასიდი (რუმინეთი) 1:2, ჭერკალესი (ჰოლანდია) 0:3, შტარ ვეიფი (ჰოლანდია) 2:1, კლმარნოკი (შოტლანდია) 2:2, ჰოფჰაიმი (გერმანია) 8:1, მაინცი (გერმანია) 1:4
ლოკომოტივი *მურთაზ ხურცილავა*	ზ.არჩვაძე,შ.ხუჯაძე(ბათუმი),დ.მუჯირი(შერიფი,მოლდოვა),კ.გოგოლაძე(ერევანი,სომხეთი),მარლიშვილი,ხორგუაშვილი(დილა),კოტორაშვილი(ვიტჯორჯია), გოგობერიძვილი(ანჯი, რუსეთი),ნ. მინდიაშვილი(სიონი),დოლბაერიძე,დაუშვილი, ზ.ქოიავა,გ. ლუდუშაური,ვ. კილასონია(?)	ტრაპაიძე,კალანდაძე,მ. ქობულაძე,შაგვულიძე(კოლხეთი),დავითნიძე(მერანი), ასლანაძე,გლეხიშაძე(სამგურალი),ვ.გველესიანი(არსენალი),ბარამიძე,გოლეთიანი (ღარწყალი),ოდიშარია(ცხუმი),არსოშვილი(შერიფი,მოლდოვა),რუსია(ბათუმი), გოგიჩაიშვილი,ქუბაძე(დინამო)	დილა 0:3,ცხუმი 5:0,თბილისი 2:1, 1:5,მერანი 1:1, იბერია 0:0,კოლხეთი 2:1,2:0,ბათუმი 3:1
ბათუმი *ჯანი კარნეველე*	თორლაშვილი(თამაში მიატოვა),ჭიჭვეიშვილი,სიჭინავა,ლ.ხომერიკი(დინამო), ვერემჩუკი (თბილისი), ნადირაძე (გორდა), რუსია (ლოკომოტივი), მაკაცარია, ყულეჯიშვილი,გუჯაბიძე,ქუტიძე,ფუტკარაძე(?)	ზ.არჩვაძე,შ. ხუჯაძე(ლოკომოტივი),გელა ქორიძე(მერანი),ტულუში,ა.მუჯირი (დინამო), იაბსტაძე (კოლეჯი)	ტორპედო 0:4, კოლხეთი 4:1, 0:1, იბერია 5:1, ლოკომოტივი 1:3
ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	ვ.მისურაძე(ტორპედო),გ. გვაზავა,ვ.ქუთათელაძე,ერაძე,ღამბაშიძე,გვირჯიშვილი(თსუ),ქემოკლიძე(თბილისი),ჭოხონელიძე(კოლხეთი)	კოტორაშვილი(ლოკომოტივი),ბ.ჩიტაია,გ. ჩიტაია(დილა),გ. მეტრეველი(აკადემია),თოდუა(იბერია),ხართიშვილი(დინამო,სტავროპოლი,რუსეთი)	დილა 2:1,3:4,გორდა 1:1,თსუ 6:4,ცხინვალი 3:2, მერანი 3:0
არსენალი *დავით ჩახავა*	ზირაქიშვილი(დინამო),ჩლაიძე(თბილისი),ვ.გველესიანი(ლოკომოტივი)	გონჩაროვი(თსუ),კუპატაძე,ვახტანგ გაგუა,კვირკველია,კოხრეიძე(არსენალი-2)	არსენალი-2 4:2, 1:1
სამგურალი *რევაზ ბურკაძე*	აფციაური(ერევანი,სომხეთი),მახვილაძე(ტორპედო),ასლანაძე,გლეხიაძე(ლოკომოტივი),ახალაძე(თსუ),გ. შენგელია(დინამო),გიორგობიანი(ლუჩი,რუსეთი), გ. ჯანელიძე,მ. ჯინჭარაძე,დარსაძე(იბერია),ბურნაძე,გ.კილასონია (?)	ჭყონია(სპარტაკი,კოსტრომა,რუსეთი),მ.ძოძუაშვილი(გურია),სადილიანი(სულორი),ი.ხაჭაპურიძე,კაკაბაძე(მარგვეთი),ზ. ფხაკაძე(იბერია),ხელაძე,ესაიაშვილი (თამაში მიტოვებულია ჰქონდათ),ბოდოკია,კ. დიდავა, ზურაბიანი(ტორპედო-2), ნებიერიძე,კოპალიანი,გაბლაია,თ.გიორგაძე(სამგურალი-2),გედენიძე(ტრავმის გამოართამაშობდა)	ტორპედო 0:3
სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	ისიანი(თბილისი),ლ. ამბიძე(მერანი) გუგუნავა(არსენალი), კ. ნიკლაური,ძნელაძე (იბერია), დ.ბერიძე,ტყავაძე,ჩალაძე(?)	დ. ჩიგოშვილი, (ღარწყალი),ნ. მინდიაშვილი(ლოკომოტივი),მ. მინდიაშვილი(დილა)	ზოოვეტი 2:4 ლოკომოტივი-2 2:0,თსუ 1:1
თბილისი *თთარ კორდალიძე*	ხიზანეიშვილი(დინამო)	კვარაცხელია(დინამო),ბაჯელიძე(მერანი),ლ. მიქაძე(დინამო),ქემოკლიძე(ვიტ ჯორჯია),ვ. ჩხაიძე(გურია), ზამთარაძე,ებრალიძე(თსუ),ისიანი(სიონი),ჩლაიძე (არსენალი),ვერემჩუკი(ბათუმი),ბაითაშვილი,ზ.ხიზანშვილი(დინამო),ლ.ბერიშვილი(სლავია,მოზირი,ბელარუსი),გ.ყიფიანი(პანეტოლიკოსი,საბერძნეთი)	ლოკომოტივი 1:2,5:1,დილა 1:1,მერანი 2:2,3:1

«ბ» ზონა	წასულები	ახალწვეულები	მატჩები
ტორპედო *დავით ყიფიანი*	კ.მეტრეველი,მაზანიშვილი(ტრანსფერზეარიან)	ვ.მისურაძე(ვიტ ჯორჯია), მახვილაძე(სამგურალი), გოგიაშვილი(ფემჩუკინა, რუსეთი), ამისულაშვილი (კახეთი), გ. სომხიშვილი (ყვარელი), თ. მაისურაძე, მ. ბობოხიძე, თაბერიძე (დინამო 2), კვერნაძე, ვადაჭკორია (ტორპედო 2)	დინამო 1:3, დილა 5:1, ბათუმი 4:0, სამგურალი 3:0, ლიერსი (ბელგია) 1:1, ირონი (რიშონ, ისრაელი) 3:2, ლომელი (ბელგია) 0:4, ეკერენი (ბელგია) 2:9
კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	მ.ქობულაძე,კალანდაძე,ტრაპაიძე,შავგულიძე(ლოკომოტივი),ე.გვასალია(ერევანი,სომხეთი),ამაშუკელი(სპარტაკი,ნალჩიკი,რუსეთი),ჩადუნელი(?)	მერკვილიშვილი (მარგვეთი), რ. ჩხენკელი, ბურჭულაძე, გ. ჭანტარია (კოლხეთი 2), ჯლარკავა,მაკალათია (ფაზისი),დ. გოგოლაძე,სიმონიშვილი(თსუ),ჭოხონელიძე (ვიტ ჯორჯია), ხუჭუა (იბერია), კედელაშვილი, მ. მელაძე (გორდა), ინიაშვილი, ფაცურია,ზ.კვეკესკირი(გურია),მგელაძე(მერცხალი)	თბილისი(მოყვარულები) 4:2, 2:1 ცემენტარნიცა(მაკედონია) 2:4, 0:4, ბათუმი 1:4, 1:0, ლოკომოტივი 1:2, 0:2, იბერია 3:0, 3:1
მერანი *სერგო გაბელაია*	ლომაია (დინამო), გელა ქორიძე (ბათუმი), ბაჯელიძე (თბილისი), დავითნიძე (ლოკომოტივი),ხუციშვილი(მერიფი,მოლდოვა), გ. კვეტენაძე,დ.ჭელიძე(?)	კ. სვანიძე (გურია), როსტიაშვილი (თსუ), საბიაშვილი, ნაჭყეპია (ღარწყალი), პ. ლურსმანაშვილი (ოდიში), ლ. ამბიძე (სიონი), ლ. ხორხელი, ა. ხორხელი (თამაში მიტოვებული ჰქონდათ)	ცხუმი 4:2, ლოკომოტივი 1:1, ჭაბუკიანი 1:0, არსენალი-2 1:2, დილა 1:3, თბილისი 2:2, 1:3, ვიტ ჯორჯია 0:3, მოყვარულთა ნაკრები 2:1
იბერია *სოსო ფრუიძე*	სგიგაძე,ვ. გიგაძე(დინამო),ხუჭუა(კოლხეთი), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ზ. ფხაკაძე (სამგურალი),ქველაძე,გ. დოლიძე,ვარდიაშვილი(?)	გ.ჯანელიძე, მ. ჯინჭარაძე,დარსაძე(სამგურალი),ო. მეტრეველი(ტორპედო 2, მოსკოვი, რუსეთი), ადეიშვილი (აკადემია), ხმალაძე, ოდიკაძე (უნივერსიტეტი იბერია),ხურციძე,თ.მალლაკელიძე(ფაზისი),ჯვანია(ოკეანე),გელაშვილი(ორიოლი, რუსეთი), ბინაძე (მარგვეთი), ნიკურაძე (გურია), ზ. მეტრეველი (არსენალი-2), კ. ნიკლაური,ძნელაძე(სიონი),შველიძე(არ თამაშობდა)	ლოკომოტივი 0:0,მეგრი 1:1,ბათუმი 1:5,კოლხეთი 0:3, 1:3
დილა *მერაბ ხუციშვილი*	ბ.ჩიტაია,გ. ჩიტაია(ვიტ ჯორჯია),მ. მინდიაშვილი(სიონი),რ.ახალკაცი(?, ვარნა, ბულგარეთი)	სოლოლაშვილი(დინამო),მარლიშვილი,ხორგუაშვილი(ლოკომოტივი),ოქროპირიძე (გორდა)	ლოკომოტივი 3:0, ტორპედო 1:5,თბილისი 1:1, ვიტ ჯორჯია 1:2, 4:3,მერანი 3:1
გორდა *იასონ ალადაშვილი*	რ.მახარაძე(მერცხალი),კედელაშვილი,მ. მელაძე(კოლხეთი), ოქროპირიძე(დილა),ვ.მაჭავარიანი,კალმახელიძე,პ.მესხი(?)	თელიაშვილი(ღარწყალი),ბუკია(თსუ),გ. ხიზანიშვილი(აკადემია),კ. პაპავა(ალგეთი), მიქავა (დინამო-2),ნადირაძე(ბათუმი),თ. მეტრეველი(?, საბერძნეთი)	ხალიბი 5:2, 4:2, ვიტ ჯორჯია 1:1
თსუ *კოტე დოლიძე*	თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (დინამო), ბუკია (გორდა), ზამთარაძე, ებრალიძე (თბილისი), გონჩაროვი (არსენალი), როსტიაშვილი (მერანი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი(კოლხეთი),ჭუმბურიძე,გაბელია(?)	ახალაძე(სამგურალი),გ. გვაზავა,ვ. ქუთათელაძე,ერაძე,ღამბაშიძე,გვირჯიშვილი(ვიტ ჯორჯია),შ. მახარაძე(გურია),დ. არჩვაძე(ნივა,ვინიცა,უკრაინა), დ. ხომერიკი,გ. მიქაძე, გ. გოცირიძე(ვაკე-91),კეიკიანი,მ. ვაშაკიძე(აკადემია),ჯრავეიშვილი(ოკეანე),ფარქოსაძე(არმინიაამატორი,გერმანია)	გარეჯი 13:0,ვიტ ჯორჯია 4:6, ზოოვეტი 2:1,სიონი 1:1
ხობი *ფრიდონ გოცირიძე*			მეგრი 2:4, 2:1

შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა ჯერჯეროობით საბოლოო არ არის

უფარმკლუბოდ, სპონსორის მოლოდინში

რა დიდი დრო კია ორთვენახევარი, ისიც, არასრული. 26 მაისი. ეროვნული სტადიონი. თასის ფინალი. იმერული დერბი „ტორპედო“ — „სამგურალი“. თითქოს გუშინ იყო.

წყალტუბოურ კლუბს უკვე ფინალში გასვლა ჩაეთვალა დიდ წარმატებად, მაგრამ „სამგურალმა“ მეტი მოინდომა, ვაჟკაცურადაც ებრძოლა მეტოქეს და ახლოსაც იყო სანუკვარ მიზანთან, ოღონდ ფორტუნამ იმ დღეს „ტორპედოს“ გაუღიმა. უგოლო ძირითადმა და დამატებითმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. ქუთაისელებმა მხოლოდ 11-მეტრიანების სერიაში აჯობეს მეზობლებს. დიახაც, ფორტუნა, თორემ, „სამგურალი“ „ტორპედოზე“ ნაკლებად არ იმსახურებდა ქვეყნის თასს.

წყალტუბოელთა მთავარი მწვრთნელი იმ დროისთვის რევაზ ბურკაძე იყო. ფინალში სათამაშოდაც „სამგურალი“ მან გაიყვანა, მაგრამ, დაგვეთანხმებით, ის ერთი კვირა, რომელიც ბურკაძეს ჰქონდა გუნდის მოსამზადებლად, მოსამზადებლად კი არა, მოთამაშეთა შესაძლებლობების დასადგენადაც ვერ იკმარებდა. ეგრე იყო. ლევაწლი კი არავის უნდა დავუკარგოთ. რაც მართალი მართალია, „სამგურალმა“ რომ ფინალამდე მიაღწია, უპირველეს ყოვლისა გაიოზ დარსაძის დამსახურება გახლდათ. დარსაძემ შარშანდელი ივლისიდან თითქმის ცხრა თვე იმუშავა წყალტუბოში, გაზაფხულისათვის კი რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი მოიწვია, ბრძოლისუნარიანი გუნდი ჩამოაყალიბა და „სამგურალიც“ ათამაშდა. მაგრამ რა, მწვრთნელს სწორედ ამ პერიოდში მოუხდა გუნდთან განშორება. დარსაძე მარტის ბოლოს წავიდა „სამგურალიდან“, თავისი საქმე კი ერთგულ თანაშემწეს დავით გენძეხაძეს გადააბარა. გენძეხაძე მთავარი მწვრთნელის მოვალეობას თვენახევარი ასრულებდა, თანაც არ თაკილობდა, საჭიროების შემთხვევაში იმავე დარსაძეს ხშირად მიმართავდა კონსულტაციისთვის. კლუბის ხელმძღვანელობამ გენძეხაძეს, ფაქტობრივად, ჩემპიონატი ჩაამთავრებინა. თასის ფინალისთვის კი „სამგურალს“ სათავეში ახალი მწვრთნელი რევაზ ბურკაძე ჩაუყენა.

„სამგურალის“ ხელმძღვანელობას ბურკაძის იმედი ჰქონდათ, „ტორპედოს“ ყველაზე კარგად ეს კაცი იცნობს და ეგებ თავის ყოფილ გუნდს ახლით მოუგოსო.

„სამგურალის“ მესვეურთ, როგორც ჩანს, ახლაც ეიმედებათ ბურკაძის. იგი მთავარ მწვრთნელად დარჩა და მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატისათვის ამზადებს გუნდს.

რა დრო კია ორთვენახევარი. ასე თქვით და, „სამგურალში“ ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. თასის ფინალში ნათამაშევი 14 ფეხბურთელიდან დღესდღეობით გუნდში მხოლოდ სამი ირიცხება — გიორგი სუხიაშვილი, მალხაზ ვოსკანოვი და ლაშა ფრანგიშვილი. „სამგურალი“ ბევრმა დატოვა. თავიდან იოჰან ბოსკამპის მიერ მოწონებული მამუკა აფციაური სომხეთის „ერევანში“ გადავიდა. მიხეილ მახვილაძე ახლა „ტორპედოს“ ახლავს ჰოლანდიურ შეკრებაზე. გივი ჯანელიძემ, მალხაზ ჯინჭარაძემ და შოთა დარსაძემ სამტრედიის „იბერია“ არჩიეს სათამაშოდ. გიორგი შენგელია ჯერჯერობით „დინამოშია“, დავით ასლანაძე და რევაზ გლუნჩაძე „ლოკომოტივში“. გაურკვეველია სანდრო ბურკაძის, დავით პეტრიაშვილის და გიორგი კილასონიას ბედი. ფაქტი კი, ესენი წყალტუბოში მაისის მერე აღარ გამოჩენილან.

„სამგურალი“ ახალი სეზონისთვის მზადებას ივნისის შუა რიცხვებიდან შეუდგა. ბურკაძემ გასასინჯად ოცამდე ახალგაზრდა ფეხბურთელი მოიყვანა — ძირითადად „სამგურალის“ ფარმკლუბიდან და მეორეჯგუფელი ქუთაისის „რიონიდან“. ამასთან გუნდს რამდენიმე გამოცდილმა მოთამაშემ მიაკითხა, ვისაც თავის დროზე ბურკაძის ხელში გაუვლია — ვლადიმერ ჭყონია, კობა სადილიანი, ნიკა ხელაძე. კიდევ „იბერიიდან“ დაბრუნდა ზვიად ფხაკაძე, „მარგვეთიდან“ — ირაკლი ხაჭაპურიძე, ზესტაფონიდანვე მოვიდა კახა კაკაბაძე, წყალტუბოელებს „გურიაში“ ნათამაშევი ქუთაისელი ჭაბუკი მერაბ ძოძუაშვილიც შეემატათ. ბურკაძეს „სამგურალში“ ადრე ნათამაშევი კახა ესაიაშვილის იმედიც აქვს. წინა კვირაში წყალტუბოელებთან ერთად „სიონიდან“ წამოსულმა კახა წიკლაურმაც დაიწყო ვარჯიში. იმ ოციოდე ახალბედადან, რომლებიც თავიდან „სამგურალში“ ისინჯებოდნენ, გუნდში 5-6 თუ დარჩება.

წინა წლებთან შედარებით „სამგურალი“ უჩვეულოდ მოერიდა საკონტროლო თამაშებს. წყალტუბოელები ერთადერთხელ ვიხილეთ საქმეში და ისიც „ტორპედოსთან“ 0:3 წაგებულ შეხვედრაში. ეტყობა, ეს ამბავი უფრო ფინანსებთანაა დაკავშირებული. ალბათ, უსახსრობას უნდა მიეწეროს ისიც, რომ „სამგურალს“ აქამდე ხეირიანი შეკრება არ გაუვლია. დღეს 4 აგვისტოა და ჯერაც არ დადგენილა გუნდის შემადგენლობა, არადა წყალტუბოელებისგან საგანაცხადო სიას ფედერაციაში ხვალისთვის ელიან. ჩემპიონატის სტარტამდე კი აღარაფერი რჩება, ათიოდე დღე.

— ამ დღეებს მაქსიმალურად გამოვიყენებთ, ორჯერად წვრთნაზე გადავალთ და ორ-სამ საკონტროლო თამაშსაც მოვასწრებთ. ძლიერ ზონაში აღმოვჩნდით. ოთხეულში მოხვედრა ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ წინასწარ ფარხმალს არ დავყრით — გვითხრა ბურკაძის თანაშემწე გიორგი გიგატაძემ. გიგატაძის გარდა მთავარ მწვრთნელს გიორგი გაბიჩვაძეც დაეხმარება. „სამგურალში“ გუნდის უფროსის შტატიც შემოიღეს — ამ თანამდებობაზე იასონ ბზიკაძე შეუდგა მუშაობას. გამოცდილ ვეტერანს დაეჯერება, ბზიკაძემ გაგვიმხილა, შესაძლოა სულ მალე „სამგურალს“ სპონსორი გამოუჩნდესო.

ამას რა სჯობს!

ჰო, კიდევ ის შევიტყვეთ, რომ „სამგურალს“ ახალ სეზონში ფარმკლუბი აღარ ეყოლება.

იუზა კაციტაძე
წყალტუბოდან

ბურკაძეს გიგატაძე (მარცხნივ) და გაბიჩვაძე (შუაში) დაეხმარებიან

თემურ ჯავახაძის წყალტუბოდან

რევაზ ბურკაძის ვაჟი დავითი „სამგურალში“ ჯერ მხოლოდ ვარჯიშობს

„სამგურალის“ ახალწვეულებს გამოცდილი მალხაზ ვოსკანოვი (№4) მოუძღვის

წლეულს „სამგურალის“ კარს ყოფილი ტორპედოელი ნიკოლოზ ხელაძე (წინ) დაიცავს

ილია ჯავახაძე (მარჯვნივ) იმ იშვიათთაგანია „სამგურალს“ შარშანდელი შემადგენლობიდან რომ შემორჩა

REUTERS ლონდონიდან

ტიერი ანრი და მისი ახალი თავკაცი არსენ ვენგერი (მარჯვნივ)

ანრი არსენალში

ფრანგი თავდამსხმელი ტიერი ანრი გუშინ ლონდონის „არსენალში“ გადავიდა. ტურინის „იუვენტუსის“ გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ განაცხადა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელის თაობაზე „მეთოფეებთან“ მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა.

როდესაც მოჯის ჰკითხეს ორ კლუბს შორის მიმდინარე მოლაპარაკების შედეგის შესახებ, მან განაცხადა:

— ანრი „არსენალში“ გადავა. ჩვენს შორის ყველა პრობლემა მოგვარებულია და ახლა ჯერი ფეხბურთელზეა. ვფიქრობ, პრობლემები არ იქნება.

იტალიური გაზეთების ცნობით, ლონდონელებმა „იუვენტუსს“ ანრის სანაცვლოდ 30 მილიარდი ლირა, ანუ 16,5 მილიონი დოლარი გადაუხადეს. ნახევარი წლის წინ ანრი ტურინულ კლუბში „მონაკოდან“ 20 მილიარდ ლირად, ანუ 5,7 მილიონ დოლარად გადავიდა.

შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსი“ „არსენალიდან“ ნიკოლა ანელკას შეძენას ცდილობდა და მზად იყო, ლონდონელთა მის სანაცვლოდ თანხაც გადაეხადა და ანრიც დაემატებინა. „ბებერი ქალბატონი“ ანრის იოლად შეელია, ანელკა კი მადრიდის „რეალში“ წავიდა.

სასშრეველი, უცხოელი და მეძვიერე



ტერი ვენეიბლზი

ტერი ვენეიბლზი, როგორც ჩანს, უელსის ეროვნული გუნდის ახალი მწვრთნელი გახდება — ოღონდ მას მერე, რაც ჯამაგირის საკითხს მოაგვარებს.

უელსის ფეხბურთის ასოციაცია ძალიან მოწადინებულია, თუმცა ინგლისის ნაკრების, „ბარსელონას“, „ტოტენჰემ ჰოთსპურისა“ და „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ ხელმძღვანელყოფილს თავისი მოთხოვნა აქვს: წელიწადში 200 ათასი გირვანქა და კიდევ სხვაგან მუშაობის უფლება.

შედარებისთვის: უელსელთა წინა მწვრთნელი, ბობ გოულდი, რომელმაც თანამდებობა ორი თვის წინ, იტალიელებთან 0:4 დამარცხების შემდეგ დასტოვა (მატჩი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრებისა გახლდათ), სხვაგან არსად მუშაობდა და 57 ათას გირვანქას სჯერდებოდა.

მიუხედავად ამისა, გოულდი ამბობს, რომ ვენეიბლზი სწორედ ის კაცია, რომელსაც უელსის ნაკრებში საქმის გამოსწორება შეუძლია: „ტერი ერთ-ერთი მათგანი გახლდათ, ვინც ფედერაციას მე შევთავაზე. ახლა რომ ვაკვირდები, ვგონებ, მასთან მოლაპარაკების საქმე ურიგოდ არ უნდა მიდიოდეს და იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება“.

ახლა, უელსის ფეხბურთის ასოციაციის საბჭო კარდიფში თათბირობს და შექმნილ მდგომარეობას მთელი სიგრძე-სიგანით სწავლობს. თუ მაინც არაფერი გამოვიდა და ვენეიბლზმა უარი განუცხადა, მაშინ სექტემბერში ბელარუსის ნაკრების წინააღმდეგ გუნდს დროებითი მწვრთნელი დასჭირდება.

რაც შეეხებათ გულშემატკივრებს, ისინი, ცხადია, მიესალმებიან თავიანთი ქვეყნის ნაკრების სათავეში ისეთი ძლიერი სპეციალისტის ხილვას, როგორც ტერი ვენეიბლზი გახლავთ, თუმცა ოპოზიცია აქაც არის: ზოგს არ მოსწონს, რომ ეროვნულ გუნდს ისევ არაუელსელი კაცი უნდა ჩაუდგეს სათავეში. არსებობს წმინდა საფეხბურთო ეჭვიც. კერძოდ, ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ბოლოხანს ინგლისელ მწვრთნელს მოუხდა „პორტსმოისა“ და „კრისტალ პალასის“ დატოვება, ვინაიდან მის მუშაობას დიდი შედეგი არ მოჰყოლია.

და მაინც, როდესაც უელსელებს ახსენდებათ, რა შედეგებს მიაღწია ირლანდიის ნაკრებმა 1980-იანი წლების ბოლოსა და 90-იანების დასაწყისში, როდესაც სათავეში სწორედ ინგლისელი კაცი, ჯეკ ჩარლტონი ედგა, სასწორი აშკარად ვენეიბლზის მხარეს იხრება. ბუნებრივია, ვენეიბლზმა უელსელებს რაიმე იმდაგვარი წარმატება რომ მოაპოვებინოს, მისი უცხოტომელობა აღარავის ეხსომება.

მოკლედ, უელსის ფეხბურთის ფედერაცია დაინტერესებულია შეძლებისდაგვარად მალე მოაგვაროს საქმე, რათა 4 სექტემბერს მინსკში გულდამშვიდებული იყოს. აშკარაა, რომ ამ ორგანიზაციაში დიდად არ ეპიტნავებათ ნევილ საუთჰოლისა და მარკ ჰიუზის დროებითი მწვრთნელობა. შეგახსენებთ, რომ ამ ორმა ფეხბურთელმა გოულდის თანამდებობიდან წასვლისთანავე იტვირთა გუნდის გაძღოლა და ლივერპულის „ენფილდ როუდზე“ უელსელებმა დანიის ნაკრებთან 0:2 სწორედ მათი ხელმძღვანელობით წააგეს.

აღსანიშნავია, რომ თუ ვენეიბლზის ვარიანტი არ შედგება, ამუშავდება სათადარიგო გეგმები, რომელთა თანახმადაც, საქმეს ხელი ყოფილმა ფეხბურთელმა კევინ რეტჩკლიფმა უნდა მოჰკიდოს. ჩაშალა რიი ჰოჯსონის მიწვევის შესაძლებლობაც, ხოლო ზემოხსენებული წყვილის დატოვება საბოლოო გამოსავალი იქნება.

ისე, ვენეიბლზი ეტყობა, მაინც შიშობს. მას უკვე ულაპარაკია უელსელ მწვრთნელ-მეგობრებთან და უთქვამს ყველაზე დიდი პრობლემა პრემიერლიგის სტანდარტების შესაბამისი მცველების არყოლაა. დაცვას უჩიოდა გოულდიც.

როსტსელმაშის წინ

დღეს ინტერტოტოს თასის ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრაში ტურინის „იუვენტუსი“ როსტოვის „როსტსელმაშს“ ხვდება. პირველი შეხვედრა, რომელიც რუსეთში შედგა ზუსტად ერთი კვირის წინ, იტალიელთა 4:0 გამარჯვებით დასრულდა. „იუვენტუსმა“ ნახევარფინალის საგზური კი გაინაღდა, მაგრამ პრესტიჟიც ხომ მნიშვნელოვანია.

ვერ ვიტყვით, ტურინელები „როსტსელმაშთან“ თამაშისთვის გამალებით ემზადებიანო — „იუვენტუსი“ ძველებურად შატილიონშია და ძველებურადვე ვარჯიშობს.

გუშინ კარლო ანჩელოტიმ, „იუვენტუსის“ მწვრთნელმა, კლუბის მთლიანი შემადგენლობა ოთხად დაყო და მინი-ტურნირი ჩაატარა. ორ გუნდს ანჩელოტი წვრთნიდა, ორსაც მისი თანაშემწე ფიაჩინო.

15-წუთიანი შეხვედრების შემდეგ გამარჯვებულიც დადგინდა — „იუვენტუსის“ ჩემპიონები „მწვანეები“ გახდნენ: ისაკსონის, კონტეს, ინძაგის, ზიდანის და მირკოვიჩის ხუთეულმა ყველას აჯობა.

გულშემატკივრები, რომლებიც „იუვენტუსის“ ვარჯიშებს ხშირად ესწრებიან, ალესანდრო დელ პიეროს გამოჩენამ ძალიან გაახარა — „იუვენტუსის“ გამოჯანმრთელებულმა ლიდერმა გუშინ ითამაშა კიდეც და არაა გამორიცხული, დღევანდელ მატჩშიც მიიღოს მონაწილეობა. ანჩელოტი შორსაა იმ აზრისგან, რომ დელ პიერო „როსტსელმაშთან“ მთელ შეხვედრას ჩაატარებს, მაგრამ იმედი აქვს, იგი პირველ ტაიმში გამოინდება.

მთელი დატვირთვით ივარჯიშა რუმინეთში „ჩაჰლაულის“ კარში ბრწყინვალე გოლის გამტანმა ალესიო ტაკინარდიმ — რუსებთან პირველი მატჩის წინ მან ქუსლი დაიზიანა და „როსტსელმაშთან“ არ უთამაშია, ახლა კი სავარაუდოდ კვლავ ძირითად შემადგენლობაში იქნება. განიკურნა ედგარ დავიდსიც — ჰოლანდიელ ნახევარმცველს ტერფის მიკროტრავმა ჰქონდა.

უკვე ვარჯიშობს ხუან ედუარდო ესნაიდერიც. გუშინდელ მინი-ტურნირში მან ერთ-ერთ გუნდში ითამაშა კიდეც, მაგრამ მის სრულ გამოჯანმრთელებაზე საუბარი ჯერ ადრეა.

ზინედინ ზიდანს რაც შეეხება, მუხლზე გადატანილი ოპერაცია თითქმის მოუშუშდა. ანჩელოტიმ განაცხადა, რომ ზიდანი 10 აგვისტოს ითამაშებს, ინტერტოტოს თასის ფინალში.

„ბებერი ქალბატონი“ „როსტსელმაშს“, ისევე როგორც „ჩაჰლაულს“, ჩეზენაში მიიღებს. „იუვენტუსი“ ჩეზენაში დილით ადრე გაემგზავრება და შატილიონში შეხვედრის დასრულებისთანავე დაბრუნდება.

4:0-ის შემდეგ წარმოუდგენელია, „იუვენტუსი“ ინტერტოტოს თასის ფინალში ვერ გავიდეს. 10 აგვისტოს, ფინალში, მისი მეტოქე სავარაუდოდ ფრანგული „რენი“ იქნება, რომელმაც პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში ავსტრიის „აუსტრიას“ 2:0 მოუგო.

კოტე ვაიტაძე



ალესანდრო დელ პიერომ ხვალ შესაძლოა ითამაშოს

ველესიდან ესპანიოლში

არგენტინელი მეკარე პაბლო კავალიერო „ესპანიოლში“ გადავიდა. კავალიერომ, რომელიც მშობლიურ „ველეს სარსფილდში“ თამაშობდა, კატალონიურ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ესპანიოლმა“ ძირითადი მეკარე ტონი მადრიდის „ატლეტიკოში“ გაყიდა და კარგი მეკარის ძებნას ამიტომაც შეუდგა. 25 წლის კავალიერო, რომელიც „ველეს სარსფილდში“ პარაგვაელ ხოსე ლუის ჩილავერტის სათადარიგოდ ითვლებოდა, შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრებშიც გახლდათ მიწვეული. არგენტინის ნაკრებში მას ხუთჯერ უთამაშია.

შვედეთი

მე-15 ტური. ჰამარბი — იორებრო							
2:1; ჰელსინგბორგი — იორგრიტე							
2:0; გიოტებორგი — მალმიო 1:0							
ჰელსინგბორგი	15	10	1	4	26:15	31
აიკ	15	9	3	3	25:10	30
იორგრიტე	15	8	5	2	28:11	29
ჰალმსტადი	14	7	3	4	26:13	24
კალმარი	15	7	2	6	23:24	23
ტრელებორგი	15	6	4	5	25:21	22
იორებრო	15	7	1	7	16:19	22
გიოტებორგი	15	5	5	5	15:19	20
ფრიოლუნდა	15	5	4	6	19:23	19
მალმიო	15	4	3	8	17:26	15
ჰამარბი	15	3	5	7	17:26	14
ნორჩიოპინგი	15	3	5	7	15:24	14
ელფსბორგი	15	3	4	8	23:33	13
იურგორდენი	14	3	3	8	15:26	12

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

ფეხბურთის რუკასთან

ბელგიელი ერვინ ლემენსი ესპანეთის, კერძოდ კი სანტანდერის „რასინგში“ გადავიდა. პრიმერა დივიზიონის კლუბს სატრანსფერო თანხის შესახებ არაფერი უთქვამს, თუმც ის კი განაცხადა, რომ ბელგიის ნაკრებში ორჯერ ნათამაშევმა 23 წლის მეკარემ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „რასინგის“ ერთ-ერთი მწვრთნელის თქმით, 14 წლის ვუნდერკინდი ჯონათან ვალე პირველ გუნდთან ვარჯიშს გააგრძელებს. ვალემ „რასინგში“ პირველად გასულ კვირას ჰოლანდიურ ტურნეში ითამაშა 15 წუთით.

უელსის ნაკრების ნახევარმცველი მარკ პემბრიჯი ინგლისში ჩავიდა, რათა ლისაბონის „ბენფიკადან“ ლივერპულის „ევერტონში“ გადასვლის საკითხები მოაგვაროს. ინგლისელები პორტუგალიელებს უელსელის სანაცვლოდ 1,3 მილიონ დოლარს გადაუხდიან. 28 წლის პემბრიჯი, რომელიც „ბენფიკაში“ „შეფილდ უენსდეიდან“ გადავიდა, ლისაბონური კლუბის მწვრთნელის გეგმებში არ შედის და მან ნისლიან ალბიონზე დაბრუნებაც ამიტომ გადაწყვიტა. „მუხლჩაუხრელად ვვარჯიშობდი, მაგრამ „ბენფიკაში“ არ მათამაშებდნენ. კლუბის პრეზიდენტმა მწვრთნელს ჩემზე უთხრა, არ ათამაშოო და მანაც ამითვალწუნა“ — განაცხადა პემბრიჯმა. „ევერტონის“ მენეჯერ უოლტერ სმიტის თქმით, ფეხბურთელთან რამდენიმე საკითხია მოსაგვარებელი. მას იმედი აქვს, რომ პემბრიჯს გადაიბირებენ.

წააგე? წადი!

ეგვიპტის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მაჰმუდ ალ გოჰარი და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ნაკრების კონფედერაციათა თასზე შერცხვენის შემდეგ მთელი შემადგენლობით თანამდებობიდან გადადგა.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა სამირ ზაჰერმა განაცხადა, რომ ფედერაციის ხელმძღვანელობამ ეგვიპტის პრემიერ-მინისტრ ქამალ განზურის, რომელიც ასევე სპორტსაც კურირებს, განცხადებით მიმართა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და მისგან თანხმობაც მიიღო.

მექსიკაში დასასრულს მიახლოებული კონფედერაციათა თასის გათამაშების ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში, საუდეთთან ეგვიპტე ყველასთვის მოულოდნელად 1:5 განადგურდა. აფრიკის ჩემპიონების ასეთი მარცხი ქვეყანაში უდიდეს სირცხვილად აღიქვეს.

გუშინვე დადგინდა ეგვიპტის ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი — ქამალ განზურის თქმით სამირ ზაჰერს ჰარბ ალ დაშური შეცვლის.

— ალ დაშური გამოცდილი სპეციალისტია. დიდი ხანია მუშაობს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში და კარგადაა გარკვეული ჩვენს საქმიანობაში. ამასთანავე უნარიანი ხელმძღვანელია და დარწმუნებული ვარ დაკისრებულ მოვალეობებს პირნათლად შეასრულებს — განაცხადა განზურიმ.

სასტიკი ბელგიელები

ბელგიის ფეხბურთის კავშირის წარმომადგენლის თქმით, „ანტვერპენის“ ახალგაზრდა ინგლისელ ფეხბურთელ რონი ვოლვორკს მსაჯის შეურაცხყოფის გამო სიცოცხლის ბოლომდე მიესაჯა დისკვალიფიკაცია.

ვოლვორკი მეორე დივიზიონის კლუბ „ანტვერპენში“ „მანჩესტერ იუნაიტედიდანაა“ განათხოვრებული. შეგახსენებთ, რომ ინგლისის ბოლო წლების ყველაზე ძლიერმა და ტიტულოვანმა გუნდმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ამას წინათ ბელგიის უძველეს კლუბ „ანტვერპენთან“ დადო ხელშეკრულება, რომელიც ახალგაზრდა ფეხბურთელების გაცვლა-ვამოცვლას ეხება. რონი ვოლვოკვი სწორედ ამ კონტრაქტით გახლდათ ბელგიურ გუნდში გადასული.

შემთხვევა, რომელიც ვოლვორკის დისკვალიფიკაციით დასრულდა, 23 მაისს მოხდა — „ანტვერპენი“, პირველ დივიზიონში აღზევებას რომ უწინასწარმეტყველებდნენ, პლეი ოფის შეხვედრაში დამარცხდა და ლიდერთა შორის დაბრუნება მინიმუმ ერთი წლით გადადო. ვოლვორკს იმ თამაშში თავი ვერ მოუთოკია და მსაჯი სასტიკად უცემია.

თუ ვოლვორკს ძალიან მკაცრი სასჯელი გამოუტანეს, „ანტვერპენის“ მეორე ინგლისელი ფეხბურთელი დენი ჰიგინბოტომი, რომლის დაბრუნებაც ოლდტრეფორდულ კლუბს სურდა, მხოლოდ ერთი სეზონით დაისაჯა — ჰიგინბოტომი მომავალი წლის 25 მაისამდე ვერ ითამაშებს, რადგან მსაჯისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებია.

— ასეთ სასჯელს შეიძლება მხოლოდ რუსეთში ელოდეთ, მაგრამ არ მეგონა, თუ ბელგიელები ამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ. საქმეს ასე არ დავტოვებთ და თუ საჭიროა, სასამართლოშიც ვიჩივლებთ — განაცხადა „მანჩესტერის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა.

„ანტვერპენის“ გენერალური მდივანი პოლო ბისტიო კი სულ სხვას აცხადებს. მისი თქმით, ორმა ინგლისელმა მოთამაშემ ისეთი რამ ჩაიდინა, რისი გახსენებაც არ სურს.

მანჩესტერელებს არაფერი აინტერესებთ. ისინი ჩივილს აპირებენ.

REUTERS ბრიუსელიდან

რონი ვოლვორკი ასეთ მკაცრ განაჩენს არ ელოდა

მიხაელ პრეეცი

გერმანელების „ბებერი“ ვარსკვლავი

უცნაური და საინტერესოა ფეხბურთი. ზოგი ახალგაზრდობაშივე აღწევს დიდ წარმატებებს, ზოგი კი გვიან „იხსნება“. ამ მხრივ გერმანია ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია. ჯერ იყო მარიო ბასლერი, მერე ოლივერ ბირჰოფი, ახლა კი მიხაელ პრეეცი, შარშანდელი ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი. კაცი, რომელმაც 31 წლისამ გაითქვა სახელი. მის შესახებ გერმანული „კიკერის“ მიმომხილველი რალფ კანალი მოგვითხრობს.

მიხაელ პრეეტცი (მარცხნივ) ბავარიელი ბიქსენტე ლიზარაზუს წინააღმდეგ

მისი მოვალეობა გოლების გატანაა. გასულ სეზონში მიხაელ პრეეცმა იმდენი გაიტანა, ვერასდროს წარმოიდგენდა. მეორე ბუნდესლიგაში თამაშის დროსაც კი. 31 წლის ის პირველად გახდა გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და რამდენიმე მატჩი ქვეყნის ნაკრებშიც ითამაშა: „ახლა აღარასოდეს ვიტყვი, კარიერამ არ გამიმართლა-მეთქი“ — ამბობს ბერლინის „ჰერტას“ ფორვარდი.

ბევრს მიაჩნია, რომ პრეეცს უბრალოდ გაუმართლა. ამას კატეგორიულად არ ეთანხმება ევანდ ლინენი, ერთ-ერთი იმ მწვრთნელთაგანი, რომელიც პრეეცთან პროფესიონალებში გადასვლამდე მუშაობდა: „წარმოუდგენელია, 31 წლისამ ფეხბურთის თამაში ისწავლო“ — ამტკიცებს ლინენი. ასევე ფიქრობენ ჰაიკო გლიოდე და ტორსტენ ვოლერტი, რომლებსაც სხვადასხვა დროს პრეეცთან ერთად უთამაშიათ: „შეიძლება ზედიზედ ოთხ-ხუთ თამაშში გაგიმართლოს, მაგრამ ორი სეზონის განმავლობაში რომ გუნდის ლიდერი იქნები, ეს უკვე სხვა რაღაცას ნიშნავს“.

მიხაელ პრეეცი დიუსელდორფში დაიბადა და ფეხბურთის თამაშიც იქვე დაიწყო. მისი პირველი გუნდი ადგილობრივი „ფორტუნა“ იყო. 18 წლისამ კლუბთან პროფესიულ კონტრაქტს მოაწერა ხელი. გფრ-ის 1986-87 წლების ჩემპიონატში პრეეცმა 23 მატჩი ჩაატარა და 5 გოლი გაიტანა. ის ახალგაზრდების ისეთ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომლებსაც ვერასდროს ვერავინ დაჩაგრავს: „მას არავისი ეშინოდა და ყველა სიძნელეს თამამად ხვდებოდა. საჭიროების შემთხვევაში ხურდის დაბრუნებაც კარგად ეხერხებოდა, თუმცა თამაშისას ყოველთვის ცდილობდა, გუნდის ინტერესები დაეცვა“ — იხსენებს პრეეცის მაშინდელი თანაგუნდელი რუდი ვოიტოვიჩი.

თავისი პირველი გოლი პრეეცმა მანჰეიმის „ვალდჰოფის“ კარში გაიტანა. მაშინ „ფორტუნას“ ფორტუნამ ზურგი აქცია და გუნდი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდა. „ერთხელაც მწვრთნელმა ალექსანდრ რისტიჩმა შეგვკრიბა და თქვა — პრეეცი ჩვენი ბოროტი გენიოსია. როცა ის მინდორზეა, ყოველთვის ვაგებთო. წარმოგიდგენიათ, რა დამემართებოდა მაშინ 19 წლის ბიჭს“ — იხსენებს პრეეცი. მერე პრეეცი გფრ-ის ახალგაზრდულ ნაკრებში გამოიძახეს, რომელიც ჩილეში მსოფლიოს ჩემპიონატზე გასამგზავრებლად ემზადებოდა. რისტიჩი ფორვარდს არაფრით უშვებდა გუნდიდან, მაგრამ ბოლოს მაინც შეთანხმდნენ და პრეეცი სამხრეთ ამერიკიდან ვიცე-ჩემპიონის ტიტულით დაბრუნდა. „ჩამოსვლისთანავე რისტიჩმა გასვლით მატჩზე წამიყვანა. მითხრა, შეცვლაზე შეგიყვანო და მთელი 80 წუთი ვხურდებოდი. ის ყოველთვის ძალიან მკაცრად მექცეოდა. ურთიერთობაც საკმაოდ დაძაბული გვქონდა, ამიტომაც სეზონის ბოლოს „საარბრიუკენში“ გადავედი, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ რისტიჩმა, როგორც მწვრთნელმა, ბევრი რამ მასწავლა“ — ამბობს პრეეცი.

მიხაელს არც „საარბრიუკენში“ ჰქონია იოლი ცხოვრება. ახალ კლუბში ელოდნენ, რომ პრეეცი „აინტრახტში“ გადასულ ენტონი იეგოას სრულფასოვნად შეცვლიდა. „როცა გუნდი ჩავიბარე, მიხაელი წამყვანი მოთამაშე იყო. გერმანულ ფეხბურთში იშვიათია ასეთი მოთამაშეები. პრეეცი თავისი უშუალო მოვალეობის გარდა, ხშირად ეხმარებოდა ნახევარდაცვას და თქვენ წარმოიდგინეთ დაცვასაც. იმ წელს პირველ ბუნდესლიგაში თამაშის უფლება მოვიპოვეთ და დღესაც მიმაჩნია, რომ კლუბის ხელმძღვანელობა არასწორად მოიქცა, როცა პრეეცი გუნდიდან გაუშვა. უიმისოდ „საარბრიუკენი“ კვლავ ქვედა ლიგაში დაქვეითდა“ — ეს „საარბრიუკენის“ მაშინდელი მწვრთნელის, პეტერ ნოირურერის სიტყვებია.

პრეეცი „ლუისბურგში“ გადავიდა და იქაც დიდი წვლილი შეიტანა გუნდის მეორედან პირველ ბუნდესლიგაში აღზევებაში. მაგრამ მაშინ საკმაოდ ცოტა გაჰქონდა. 1993-94 წლების სეზონში მან 23 მატჩში მხოლოდ 2 ბურთი შეაგდო.

მერე ფორვარდი „ვატენშაიდში“ მიდის, მაგრამ ვერც აქ აღწევს ვერაფერს და უმუშევრად რჩება. მიუხედავად ამისა, „ვატენშაიდის“ მაშინდელი მწვრთნელი ჰანს-პეტერ ბრიგელი თავდამსხმელს საკმაოდ თბილად იხსენებს: „პრეეცის გუნდში აყვანის მოთავე მე ვიყავი. დღესაც მჯერა, რომ მაშინ სწორად მოვიქეცი. ის კარგი, ჭკვიანი მოთამაშეა. თუ ადრე „ცალფეხა“ იყო, ახლა ამ მხრივაც ძალიან მოუმატა“.

1996 წლის 20 ივნისს პრეეცმა „ჰერტას“ წინადადება მიიღო. მწვრთნელი იურგენ რიობერი მასში დიდ პოტენციალს ხედავდა და არც შემცდარა. „ჰერტა“ ნელ-ნელა გაძლიერდა, ჯერ პირველ ბუნდესლიგაში აღზევდა, გასულ სეზონში კი მესამე ადგილი დაიკავა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდში მონაწილეობის უფლებაც მიიღო. პრეეცი კი 23 გატანილი ბურთით ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

შუა სეზონში, როცა პრეეცმა ერთვნული ნაკრების მაისურა პირველად მოირგო, გერმანული პრესის ფურცლებზე მასსა და ულფ კირსტენს შორის არცთუ სასიამოვნო დიალოგი გაიმართა. კირსტენს, ცხადია, უეცარი კონკურენტის გამოჩენა არ ესიამოვნა. როცა კირსტენი ლამის ლანძღვაზე გადავიდა, პრეეცმა საქვეყნოდ განაცხადა, წლევანდელ სეზონში მასზე მეტს გავიტანო (წინა ორ ჩემპიონატში 22-22 გოლით კირსტენი ბუნდესლიგის საუკეთესო მეგოლე გახლდათ) და სიტყვა შეასრულა. საერთოდ, მიხაელს არ უყვარს საქვეყნოდ თავის ქება, უბრალოდ ამბობს იმას, რასაც ფიქრობს და შემდეგ ამაზე პასუხისაც აგებს. პრეეცს არც ამჯერად მოუტყუებია, 23 გოლი 90-იანი წლების ბუნდესლიგაში მის გარდა არავის გაუტანია.

რიობერი ამტკიცებს, რომ მიხაელი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევს მის მიმართ გამოთქმულ კრიტიკას და ცდილობს საკუთარ თავზე იმუშაოს: „ისეთი დროც იყო, როცა პრეეცს ძირითადში არ ვაყენებდი. ერთხელაც მოვიდა და მიზეზი მკითხა. როცა ავუხსენი, ჩემი რჩევები მიიღო და ახლა ჩინებული ფორვარდია. არცერთ გერმანელ ფეხბურთელს არ ჰქონია ბოლო წლებში ასეთი პროგრესი“ — ესეც რიობერის სიტყვებია.

ბერლინელ ქომაგებს ახლა ერთი კითხვა აწუხებთ, შეძლებს თუ არა პრეეცი ახალ სეზონშიც ისევე ითამაშოს, როგორც შარშან. „ჰერტას“ მალე დიდი ევროპული გაომცდის ჩაბარება მოუწევს. ბუნდესლიგაში პრეეცის ამოცანა ჯერჯერობით ვერ გადაუწყვეტიათ. რას იზამენ ევროპაში?

ძიძერი



კრისტიან ვიერი დაწვეს

რაჭველები რომში

„ლაციოს“ გულშემატკივრებს გაახსენდათ, რომ მათი საყვარელი კლუბის თავდამსხმელის, კრისტიან ვიერის მილანის „ინტერში“ გადასვლამ ისინი ძალიან გააბრაზა.

„გაძეტა დელო სპორტი“ იტყობინება, რომ გუნდის ქომაგთ ათასობით ჟურნალი თუ გამოცემა მოუძიებიათ, რომლის გარეკანზეც მსოფლიოს უძვირფასესი ფეხბურთელის ფოტოსურათია დაბეჭდილი და საჯაროდ დაუწვიათ.

ამით მათ პროტესტი გამოთქვეს ვიერის „ინტერში“ გადასვლის გამო.

შეგახსენებთ, რომ „ინტერმა“ ვიერის სანაცვლოდ „ლაციოს“ არნახული თანხა — 49,5 მილიონი დოლარი გადაუხადა.

საინტერესოა, რატომ აქამდე არ გაბრაზდნენ „ლაციოს“ გულშემატკივრები, ან თუ გაბრაზდნენ, მაშინვე რატომ არ დაწვეს ჟურნალები?

ვინც ხელფასს არ იხდის...

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ „ისლა კრისტინა“ სამოყვარულო რეგიონალურ ლიგაში გააძევა. მიზეზი: კლუბს ფეხბურთელების 12 მილიონი პესეტა ემართა. 12 მილიონი პესეტა 76 480 დოლარი გახლავთ და არის თანხა, რომელიც ხელფასებად და პრემიებად უნდა გაცემულიყო.

„ისლა კრისტინა“ გახლავთ კლუბი, რომელმაც ბოლო წლებში ესპანეთის თასზე ეგრეთწოდებული გოლიათთა მკვლელის რეპუტაცია მოიპოვა, თუმცა გასული სეზონის მიწურულს მეოთხე დივიზიონში გავარდა.

ანდალუზიელთა ფინანსურმა პრობლემებმა თავი გასული წლის ნოემბერში წამოყო რის შედეგადაც ფეხბურთელთა დიდმა ჯგუფმა კლუბი დატოვა. საგონებელში ჩავარდნილმა დირექტორებმა გამოსავლად მოყვარულთა და ჭაბუკთა მიზიდვა დაისახეს, მაგრამ შედეგად ესპანეთის პროფესიული ფეხბურთის ანტირეკორდი მიიღეს: 37 მატჩიდან ერთი მოგება, ხოლო გატანილ-გაშვებულთა ბალანსი — 38:150.

ზოგი წავა, ზოგი უკვე მოვიდა

მოსკოვის „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა იური სიომინმა უარყო ხმები, თითქოსდა კლუბს საუკეთესო ფეხბურთელების გაყიდვა გადაუწყვეტია.

— ჩვენ ლიდერების გასხვისებას არ ვაპირებთ. ევროთასების გათამაშება კარს მოგვადგა. დროა, მომავალზეც ვიფიქროთ — განაცხადა სიომინმა.

მოსკოვის „ლოკომოტივი“, რომელიც თასების მფლობელთა თასის ბოლო ორი გათამაშების ნახევარფინალისტია, ევროტურნირებში უეფას თასის გათამაშების საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაებმება.

რუსეთში გავრცელებული ხმების თანახმად, კლუბს საკმაოდ დიდი ვალები ჰქონია და ძლიერი ფეხბურთელების ევროპულ კლუბებში გაყიდვიდან შემოსული თანხით აპირებდა მის გადახდას. შესაძლო გასაყიდ ფეხბურთელთა შორის მეკარე რუსლან ნიგმატულინი, ქვეყნის ნაკრების ნახევარმცველი ალექსეი სმერტინი და ქართველი თავდამსხმელი ზაზა ჯანაშია მოიხსენებოდნენ.

„ლოკომოტივმა“, რომელიც ჩემპიონატში მეორე ადგილზეა და ლიდერ „სპარტაკს“ 13 ქულით ჩამორჩება, რამდენიმე ხნის წინ იტალიურ „რომას“ 4 მილიონ დოლარად მცველი სერგეი გურენკო მიჰყიდა.

სიომინის თქმით, კლუბი რომის „ლაციოსთან“ ნიგმატულინის შესახებ აწარმოებდა მოლაპარაკებებს, თუმც საბოლოოდ ჯერ არაფერი გადაუწყვეტიათ.

სანამ გაირკვევა, ვინ დატოვებს რუსეთის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბს, მანამდე ვეტერანი მეკარე იური ოყროშიძე გადაიბირეს ყაზანის „რუბინიდან“. შეგახსენებთ, რომ ოყროშიძე ერთხანს ლენინგრადის „ზენიტის“ ღირსებას იცავდა.

ფეხბურთი ფეხბურთელების გარეშე

რა არის ფეხბურთი? უფრო სწორად, რისგან შედგება ის? ცხადია ბურთისგან, წესებისგან, ფეხბუთრელებისგან, ბუცებისგან და ასე შემდეგ, მაგრამ ეს არაფერია. აბა წარმოიდგინეთ ორი მეტოქე და მეტი არაფერი. არა, ფეხბურთი აშკარად რაღაც უფრო მეტისგან შედგება ვიდრე თავად თამაში და ვგონებთ ეს მეტი ჩვენ უნდა ვიყოთ ფეხბურთელების გარე მთელი მსოფლიო. ისინი ჩვენთვის თამაშობენ და თვით ვარსკვლავებსაც კი იმიტომ აქვთ მილიონები, რომ ჩვენ ვაძლევთ.

ჩვენც ვიყოფით ჯგუფებად. უმთავრესი და ზოგადი ჯგუფი ცხადია გულშემატკივარია, მაგრამ არის სხვა გაცილებით პატარა-პატარა ჯგუფებიც. მაგალითად სტადიონის მომსახურე პერსონალი, ტელევიზიისა და რადიოს ტექნიკური პერსონალი, ჟურნალისტები...

თუმცა, შეიძლება ასეც ითქვას: ფეხბურთელები, ჟურნალისტები და სხვადასხვა პერსონალი, ყველანი მის უდიდებულესობა გულშემატკივარს ემსახურებიან.

ჩამოთვლილი ხალხიდან ფეხბურთელებსა და ჟურნალისტებს ერთი აქვთ საერთო: ისინი საჯაროდ მუშაობენ. ეს ძალიან ძნელია. შეიძლება ექიმმა სადღაც კლინიკაში შეცდომა დაუშვას და კაცი მოკლას, მაგრამ ამას ვერავინ გაიგებს. აი, ფეხბურთელს რომ შეცდომა მოუვა... ასეა ჟურნალისტიც, ყველა შენს შეცდომაზე ილაპარაკებს თუ დაუშვი. არადა ცოცხალ ადამიანს როგორ გინდა არასდროს არაფერი შეგცდეს. ბოლოს და ბოლოს, უშეცდომოც, ზოგს მოეწონები, ზოგს კი არა.

ამ წერილის გმირი გახლავთ ინგლისელი ტელეჟურნალისტი დეს ლინამი, რომელმაც, როგორც მის სამშობლოში ამბობენ, თავისი კარიერის მანძილზე ყველაზე ცოტა კრიტიკა დაიმსახურა, ხოლო დღეს საყოველთაო ყურადღების ცენტრში იმიტომ მოხვდა, რომ BBC-დან კონკურენტ ITV-ში გადავიდა, რაც იმდენად სენსაციური ამბავი გახლავთ, რომ ყველა სააგენტომ დაუყოვნებლივ მოსდო მსოფლიოს.

ლინამს ანუ დესს, როგორც მას ინგლისში იცნობენ, 1996 წელს ევროპის ჩემპიონატზე, უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირსა და ატლანტის ოლიმპიადაზე უხეშად რომ ვთქვათ ენა არ გაუჩერებია, მაგრამ, როგორც გაირკვა მთელს ქვეყანას სწორედ ეს უნდოდა. ეს კაცი ერის ცხოვრების ნაწილად იქცა.

დესის ITV-ში გადასვლა BBC-სთვის დიდი დარტყმაა, რადგან მას უბრალოდ შემცვლელი არ ჰყავს, მართალია ამ პატივცემულ კორპორაციაში მუშაობენ ისეთი ნიჭიერი წამყვანები, როგორებიც არიან გარი ლინეკერი, ჯონ ინვერდეილი და სტივ რაიდერი, მაგრამ დესი სხვაა. მას სპორტული ჟურნალისტიკის ჩარჩოებიდან გასულ სპორტულ ჟურნალისტს უწოდებენ.

დესმა სპორტზე საუბრის ისეთი შინაური ტონი დაამკვიდრა, რომ მისი სახელი გულშემატკივართა გარდა ინგლისელ ქალთა შორისაც ფართოდ გავარდა. იგი მსმენელს პირდაპირ მიმართავს და საუბრობს აქცენტით, რომლის მიბაძვაც შეუძლებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პოპულარულია, დესი პირად ცხოვრებაზე არასდროს საუბრობს, ხოლო ერთხელ, უიმბლდონზე, როდესაც ავტოგრაფი სთხოვეს მასზე უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი კაცი ძნელი წარმოსადგენი გახლდათ.

თუმცა დესს, როგორც ჭეშმარიტად ინგლისელ ჟურნალისტს არც ენამწარობა ავიწყდება. იყო შემთხვევა, როცა მას და მის მოშურნე კოლეგას, ჯიმი ჰილს ერთობლივად მიჰყავდათ გადაცემა. სიტყვამ 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი რომ მოიტანა ჰილმა თქვა:

„მე BBC-ში ჯერ კიდევ მაშინ ვმუშაობდი, თუმცა, როგორც დამწყებს ცხადია, ცოტა მსმენელი მყავდა“

„შენ ახლაც ცოტა ვინმე თუ გისმენს, ჯიმი“ — უპასუხა ლინამმა.

მარცხენა ფოტოზე პერსონაჟად ქცეული დეს ლინამი ფილმ „დესთან გატარებული ზაფხულის“ მსახიობებთან ერთადაა აღბეჭდილი, მარჯვენაზე კი მაიკლ ოუენი 1998 წლის „სპორტული პიროვნების“ ჯილდოთი ახალი დაჯილდოვებული ჰყავს.

შერეკილები

ღმერთო დიდებულო! საზოგადოებას, რომლის თუნდაც ერთი წევრი დღეს მთვარისკენ გასაფრენ ბილეთს ყიდულობს — ხაზს ვუსვამთ, კოსმონავტი კი არ არის, ჩვეულებრივი მგზავრია — ჩვენ ალბათ ვერასდროს დავეწევით. ნურც იმას იფიქრებთ, რომ ეს ადამიანი ვინმე მილიარდელი ან სულთანია, საუბარია ფეხბურთელზე. ესპანური „ვალენსიადან“ ინგლისურ „სანდერლენდში“ ახლახან, 6,46 მილიონ დოლარად გაყიდულ 30 წლის შვედ ნახევარმცველ სტეფან შვარცზე. დიახ, პირველი კომერციული ფრენა კოსმოსში 2002 წლისთვისაა დაგეგმილი და ამ გასეირნების ერთ-ერთი მსურველი სწორედ შვარცი ყოფილა.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ საზოგადოებაში, რომელიც ზევით ვახსენეთ, 2002 წელს ძალიან კონკრეტულად უყურებენ. ეს თარიღი მათთვის სულაც არაა აბსტრაქტული და ამთავითვე გეგმავენ რა უნდა გააკეთონ იმ წლის ამა თუ იმ დღეს. აქედან გამომდინარე, იქ იციან, რომ იმ დღეებში, შვარცი კოსმოსში რომ გაფრინდება, იგი არ იქნება დედამიწაზე ანუ „სანდერლენდის“ თამაშებს გააცდენს. ამიტომაც დაიჟინა „სანდერლენდის“ ხელმძღვანელობამ შვედის კონტრაქტში იმ მუხლის ჩამატება, რომელიც ფეხბურთელს კოსმოსური ბილეთის ჩაბარებას ავალდებულებს. გაზეთ „სანს“ კლუბის აღმასრულებელმა შეფმა ჯონ ფიკლინგმა ამასთან დაკავშირებით განუცხადა:

„კონტრაქტში ახალი მუხლის შეტანა იმას ნიშნავს, რომ სტეფანი ჩვენთან ველარ მოვა მთვარეზე გასაფრენად დროებით განთავისუფლების თხოვნით. მოთამაშის სადაზღვევო პოლისის დეტალებზე ბოლოხანს ძალიან სერიოზულად ვიმუშავეთ. ვგონებთ ბუნებრივია, რომ კლუბს საკუთარი ინტერესების დაცვა უნდა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც მის ფეხბურთელს სახიფათო ჰობი აქვს“.

რაზე ფიქრობს ხალხი...



სტეფან შვარცი — ფოტოფანტაზია

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲩᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲔᲑᲘ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

FEDERAZIONE ITALIANA GIUOCO CALCIO

ᲛᲘᲚᲐᲜᲘ: იბრაჰიმ ბა (სევილია, ესპანეთი), ჯამპიერო მაინი (პარმა), ანდრე კრუზი (ტენერიფე), დი

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ჩემპიონთა ლიგა. II შესარჩევი ეტაპი. II წრე

4.08	ვალეტა (მალტა) — რაპიდი (ავსტრია)	(25,0- —)	6,5	3,2	1,5
	სლოვანი (სლოვაკეთი) — ანორთოსისი (კვიპროსი)	(1,35-2,5)	1,5	3,3	6,0
	რიეკა (ხორვატია) — პარტიზანი (იუგოსლავია)	(4,0-1,15)	2,0	2,9	3,4
	მოლდე (ნორვეგია) — ცსკა (რუსეთი)	(5,0-1,1)	2,3	2,8	2,9
	ვიძევი (პოლონეთი) — ლიტექსი (ბულგარეთი)	(5,0-1,1)	1,8	2,9	4,2
	რეინჯერსი (შოტლანდია) — ჰაკა (ფინეთი)	(— -50,0)	1,1	6,0	12,0
	ზიმბრუ (მოლდოვა) — დინამო (საქართველო)	ანგარიში — 5,0			
	აიკ (შვედეთი) — დნეპრტრანსმაში (ბელარუსი)	(1,05-7,5)	1,3	4,0	7,5
	ბრონდბიუ (დანია) — სლოგა (მაკედონია)	(1,02-10,0)	1,2	5,0	9,0
	ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) — ბეშიქთაში (თურქეთი)	(1,7-1,7)	2,4	2,9	2,6
	ჟალგირისი (ლიტვა) — დინამო (უკრაინა)	(15,0-1,01)	4,7	3,0	1,7
	მტკ (უნგრეთი) — ვესტმანაეიარი (ისლანდია)	(1,01-15,0)	1,25	4,4	8,0
	გენკი (ბელგია) — მარიბორი (სლოვენია)	(5,0-1,1)	1,25	4,4	8,0
	სკონტო (ლატვია) — რაპიდი (რუმინეთი)	(1,3-2,8)	2,3	2,9	2,8

ინტერტოტო. ნახევარფინალი. II წრე

4.08	იუვენტუსი (იტალია) — როსტსელმაში (რუსეთი)	(— -50,0)	1,15	5,6	10,0
	აუსტრია (ავსტრია) — რენი (საფრანგეთი)	(5,0-1,1)	2,5	2,9	2,5
	ჰერენვენი (ჰოლანდია) — ვესტ ჰემი (ინგლისი)	(2,8-1,3)	2,4	2,8	2,7
	პოლონია (პოლონეთი) — მეცი (საფრანგეთი)	(25,0- —)	2,7	2,8	2,4
	მონპელიე (საფრანგეთი) — დუისბურგი (გერმანია)	(1,3-2,8)	2,2	2,9	3,0
	ჰამბურგი (გერმანია) — ტრაბზონი (თურქეთი)	(1,2-3,5)	1,8	3,0	3,5

საფრანგეთი. I დივიზიონი II ტური

5.08	ლე ავრი — მარსელი	3,6	2,9	1,9
	ტრუა — ლიონი	2,5	2,9	2,5

საფრანგეთი. II დივიზიონი II ტური

5.08	ლორიანი — შატორუ	1,7	3,1	4,4

შვეიცარია. გადადებული მატჩი

5.08	სერვეტი — ბაზელი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3

რუსეთის ჩემპიონატი. XIX ტური

4.08	ჩერნომორეცი — სპარტაკი	6,5	3,6	1,4
	შინიკი — როტორი	2,5	2,9	2,5
	ალანია — ტორპედო	1,8	2,8	4,4
	კრილია — ნ. ნოვგოროდი	2,0	2,8	3,5
	დინამო — სატურნი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	ლოკომოტივი — ჟემჩუჟინა	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2

ნორვეგიის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი

4.08	კონგსვინგერი — ვალერენგა	2,8	2,9	2,3

ბელგიის ლიგის თასი

4.08	შარლეროა — ლოკერენი	2,3	2,9	2,8
	ვესტერლო — აალსტი	2,3	2,9	2,8
	სერკლ ბრიუგე — ჰარელბეკი	3,5	3,0	1,9

ნორვეგიის თასის მეოთხედფინალი

4.08	ტრომსო — რაუფოსი	1,2	5,0	9,0
	ბრანი — ოდ გრენლანდი	1,6	3,0	5,6
5.08	ლინი — რუსენბორგი	7,5	4,0	1,3

კონფედერაციათა თასი

4.08	ბრაზილია — მექსიკა	1,6	3,1	5,3

ქვეყნის ჩემპიონატები

გერმანია

ბაიერნი	1,3
დორტმუნდი	4,0
ლევერკუზენი	5,0
კაიზერსლაუტერნი	6,0
ჰერტა	8,0

ინგლისი

მანჩესტერი	1,4
არსენალი	3,5
ჩელსი	4,0
ლივერპული	6,0
ლიდსი	8,0

საფრანგეთი

მარსელი	2,0
ბორდო	3,0
მონაკო	3,0
პსჟ	4,0
ლიონი	6,0
ნანტი	8,0
ლანსი	8,0

იტალია

მილანი	2,5
ინტერი	2,5
იუვენტუსი	3,0
ლაციო	3,0
პარმა	5,0
ფიორენტინა	7,0
რომა	8,0

ესპანეთი

ბარსელონა	1,6
რეალი	2,3
ვალენსია	5,0
ატლეტიკო	7,0
დეპორტივო	8,0
სელტა	8,0
ბილბაო	8,0
მალიორკა	8,0
სოსიედადი	8,0

პორტუგალია

პორტუ	1,7
ბენფიკა	2,5
სპორტინგი	4,0
ბოავიშტა	8,0

ჰოლანდია

აიაქსი	2,0
ფეიენოორდი	2,5
ეინდჰოვენი	2,5

ბელგია

ბრიუგე	2,2
ანდერლეხტი	2,2
გენკი	3,0
სტანდარდი	8,0

საბერძნეთი

ოლიმპიაკოსი	3,0
პანათინაიკოსი	2,0
აეკ	3,0
პაოკ	8,0

ჩეხეთი

სპარტა	1,6
სლავია	2,3
სიგმა	8,0
ტეპლიტე	8,0
ბანიკი	8,0

პოლონეთი

ვისლა	1,5
ლეგია	2,5
ვიძევი	4,0
ლეხი	8,0
პოლონია	8,0

უკრაინა

დინამო კიევი	1,1
შახტიორი	6,0
კარპატი	8,0
ტავრია	8,0

თურქეთი

გალათასარაი	1,4
ფერენბაჰჩე	3,0
ბეშიქთაში	5,0
ტრაბზონი	7,0

შოტლანდია

რეინჯერსი	1,6
სელტიკი	2,3

ავსტრია

რაპიდი	1,8
შტურმი	2,0
ზალცბურგი	4,0
აუსტრია	5,0
გრაცერი	8,0

შვეიცარია

გრასჰოპერი	1,8
სერვეტი	3,0
ციურიხი	4,0
ლოზანა	5,0

დანია

ბრონდბიუ	2,0
კოპენჰაგენი	3,0
ოლბორგი	3,0
სილკებორგი	5,0
აკადემიკსი	5,0

რომელი გუნდი გაიმარჯვებს

მანჩესტერი	2,5
მილანი	2,5
ბარსელონა	2,5
ლაციო	4,0
ფიორენტინა	5,0
პარმა	5,0
ბაიერნი	5,0
რეალი	6,0
არსენალი	7,0
ჩელსი	7,0
დორტმუნდი	10,0
ლევერკუზენი	10,0
მარსელი	10,0
ბორდო	10,0
ვალენსია	10,0
მალიორკა	15,0
ჰერტა	15,0
ლიონი	15,0
ფეიენოორდი	15,0
ეინდჰოვენი	15,0
პორტუ	15,0
დინამო (კიევი)	15,0
სპარტაკი	25,0
რუსენბორგი	25,0
კროაცია	25,0
პარტიზანი	25,0
გენკი	25,0
ოლიმპიაკოსი	50,0
აეკ	50,0
გალათასარაი	50,0
ბეშიქთაში	50,0
ბოავიშტა	50,0
ცსკა	50,0
რეინჯერსი	50,0

ჩემპიონთა თასი

CHAMPIONS LEAGUE

რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

იტალია	2,0
ესპანეთი	2,4
ინგლისი	2,4
გერმანია	3,0
საფრანგეთი	5,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	15,0
უკრაინა	15,0
ნორვეგია	25,0
რუსეთი	25,0
ხორვატია	25,0
ბელგია	25,0
იუგოსლავია	25,0
საბერძნეთი	50,0
თურქეთი	50,0
შოტლანდია	50,0

უეფას თასი

UEFA CUP

რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

იტალია	2,5
ესპანეთი	3,0
ინგლისი	3,0
გერმანია	5,0
საფრანგეთი	8,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	12,0
ბელგია	15,0
რუსეთი	25,0
იუგოსლავია	25,0
ხორვატია	25,0
შვედეთი	25,0
ჩეხეთი	50,0
ნორვეგია	50,0
თურქეთი	50,0
შვეიცარია	50,0
შოტლანდია	50,0
საბერძნეთი	50,0
რუმინეთი	50,0

რომელი გუნდი გაიმარჯვებს

იუვენტუსი	3,0
რომა	5,0
ლიდსი	7,0
ტოტენჰემი	7,0
ბოლონია	7,0
უდინეზე	7,0
აიაქსი	7,0
კაიზერსლაუტერნი	7,0
დეპორტივო	10,0
სელტა	10,0
ატლეტიკო	10,0
ნიუკასლი	10,0
ვერდერი	15,0
ვოლფსბურგი	15,0
ჰამბურგი	15,0
დუისბურგი	15,0
ვესტ ჰემი	15,0
მონაკო	15,0
ნანტი	15,0
ლანსი	15,0
რენი	25,0
მონპელიე	25,0
გენფიკა	25,0
სპორტინგი	25,0
ვიტესი	25,0
ლოკომოტივი (მოსკოვი)	25,0
ჰაიდუკი	25,0
ცრვენა ზვეზდა	25,0
ბრიუგე	25,0
ანდერლეხტი	25,0
სელტიკი	25,0
გიოტებორგი	50,0
პაოკ	50,0
პანათინაიკოსი	50,0
როდა	50,0
სლავია (პრაღა)	50,0
ზენიტი	50,0
ფენერბაჰჩე	50,0
გრასჰოპერი	50,0
ლიერსი	50,0
ლოკერენი	50,0
სტ. ტრუიდენი	50,0
სტიაუა	50,0
დინამო (ბუქარესტი)	50,0

გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება. იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა 23
ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

სტეფანიას ცხელი ზაფხული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველზე კარგად ვერავინ აფარებდა

ბოსტონის საზაფხულო ლიგა

მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის დარბაზში მიმდინარე ტურნირის ბოლო დღეს, დაუმარცხებელი ორი გუნდიღა იყო — მასპინძელი „ბოსტონ სელტიქსი“ და „სიეტლ სუპერსონიქსი“. მათი შეხვედრა ბოსტონის საზაფხულო ლიგას ასრულებდა. გამარჯვებული ტურნირის ჩემპიონის არაოფიციალურ ტიტულს მიიღებდა, რამაც დამატებითი აზარტი და მოტივაცია გააჩინა.

სანამ ამ მატჩზე ვიტყოდით, გაცნობებთ, რომ „სიეტლმა“ წინა დღეებში ორი მატჩი ითამაშა: გერმანიის ნაკრებს 102:64 მოუგო, ხოლო „ვაშინგტონ ვიზარდსს“ — 88:76. ვლადიმერ სტეფანიამ ორივე შეხვედრა ხუთეულში დაიწყო, მაგრამ მოედანზე უწინდელივით დიდხანს არ გაჩერებულა. გერმანელებთან 17 წუთი ითამაშა, ხოლო ვაშინგტონელებთან — 25.

ცხადია, ქართველი ცენტრის მოედანზე ხანმოკლე ყოფნის მიზეზი ცუდი თამაში არ ყოფილა. უბრალოდ, მწვრთნელებს სხვა მოთამაშეების გამოცდა სურდათ და ისინი მეტხანს ათამაშეს. სტეფანიამ გერმანელებს 7 ქულა ჩაუგდო და ამას 2 მოხსნა, ერთი პასი და 2 დაფარება დაურთო. „ვიზარდსის“ წინააღმდეგ ვოვამ 11 ქულა, 7 მოხსნა და 3 დაფარება გააკეთა.

„ბოსტონ სელტიქსის“ წინააღმდეგ სტეფანიამ თამაში კვლავ სასტარტო ხუთეულში დაიწყო, ხოლო „სუპერსონიქსმა“ ამ შემადგენლობით ითამაშა: *ვინსონი (19), ვილიამსი (26), ლუისი (27), ელისმა (2), სტეფანია (10 ქულა, 4 მოხსნა, 4 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება); ფრიმენი (2), ბერი (5), ჯონსონი 8).* ქართველმა მოედანზე 41 წუთი გაატარა.

პირველი ტაიმი „სონიქსმა“ 55:44 მოიგო. შესვენებამდე რაშარდ ლუისმა 17, ხოლო შემონდ ვილიამსმა 15 ქულა გააკეთეს. მესამე მეოთხედში კი შესანიშნავად ითამაშა ბოსტონელმა ფორვარდმა უოლტერ კარტერმა — 18 ქულა გააკეთა და „სელტიქსი“ 79:75 დააწინაურა. მასპინძლები ამას არ დასჯერდნენ და დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე თამაშში ყველაზე დიდ უპირატესობას მიაღწიეს — 91:81. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც უეინ ტერნერმა საჯარიმო ხაზის სიახლოვიდან ჩააგდო. სიეტლელმა ლუისმა თავი გამოიდო, მისი აქტიურობით სხვაობა ერთ ქულამდე შემცირდა, მაგრამ დამთავრებამდე სამი წამით ადრე იმავე ტერნერმა გარღვევით საბოლოო ანგარიში — 102:99 დაფიქსირა.

ასე დასრულდა ბოსტონის საზაფხულო ლიგა. „სიეტლ სუპერსონიქსმა“ ექვსიდან ხუთი თამაში მოიგო. ვლადიმერ სტეფანიას პირადი საშუალო მაჩვენებლები კი ამგვარია: 13,4 ქულა (მე-13 შედეგი), 7,8 მოხსნა (მე-6 შედეგი) და 2,3 დაფარება (საუკეთესო შედეგი).

ბაღრი ჯანელიძის ფოტო

მძიმე თამაშების შემდეგ ვლადიმერ სტეფანიამ დასვენება დაიმსახურა

პოლ ვესტფოლი: მომავალ სეზონში ვლადიმერი ცენტრი იქნება

„სიეტლ სუპერსონიქსის“ საინტერნეტო საინფორმაციო ბიულეტენმა „სუპერნეტმა“ გუნდის საზაფხულო თამაშების ერთგვარი შეჯამება სცადა:

„სიეტლ სუპერსონიქსმა“ ორი საზაფხულო ლიგა მოილია. „სონიქსის“ ახალბედებმა და გუნდში მოხვედრის კანდიდატებმა გაკვეთილები მიიღეს. ეს არის ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თამაშის გაკვეთილები. ვაღიაროთ, მათ დავალება შესანიშნავად შეასრულეს.

ვლადიმერ სტეფანია ჩვენებისგან ყველაზე კაშკაშა იყო, მისი სტატისტიკა ძლიერი და სტაბილურია. მან მატჩში საშუალოდ 13,4 ქულა, 7,8 მოხსნა და ორზე მეტი დაფარება გააკეთა. სტეფანიამ ჩააგდო ნასროლი სამქულიანების 43 პროცენტი.

ჯელანი მაკკოიმ საშუალოდ 11,8 ქულა და 6 მოხსნა გააკეთა. შარშანდელ ახალბედათაგან ყველაზე უმცროსმა რაშარდ ლუისმა კი საშუალოდ 13,2 ქულას და 6 მოხსნას მოუყარა თავი.

„სიეტლ სუპერსონიქსის“ მთავარმა მწვრთნელმა პოლ ვესტფოლმა გაგვიზიარა თავისი აზრი ახალბედების თამაშის შესახებ.

***სუპერნეტი:* შეაფასეთ ჯელანი მაკკოისა და ვლადიმერ სტეფანიას საზაფხულო თამაში...**

პოლ ვესტფოლი: ორივემ ძალიან კარგად ითამაშა. ორივემ დიდი გამოცდილება მიიღო და მოედანზეც საკმაოდ იყვნენ.

ვლადიმერმა განსაკუთრებით კარგად ითამაშა ფარზე. მომეწონა მისი გარჯა დაცვაში, განსაკუთრებით პოზიციური ბრძოლებისას და დაფარებებისას.

მომავალ სეზონში სტეფანია უპირველესად ცენტრად ითამაშებს. დავრწმუნდი, რომ მისი ადგილი ცენტრზეა. მას აგრეთვე კარგად შეუძლია ფრთის ფუნქციის შესრულება. აი, თავდამსხმელობისთვის კი ფიზიკური მომზადება აკლია. ვლადიმერს ცენტრად სათამაშოდ საკმარისი სიმაღლე აქვს, სწრაფიცაა. იგი ძალიან მაგონებს სემ პერკინსს — მაღალია, მაგრამ სამქულიანებს ზუსტად ესვრის.

***სუპერნეტი:* კიდევ ვის აღნიშნავდით?**

პოლ ვესტფოლი: რაც გამთამაშებლად გადავიყვანე, შემონდ ვილიამსის თამაში შესანიშნავი გახდა. თავიდან მითხრეს, მსროლელიაო, მაგრამ გამთამაშებლად გაცილებით უკეთესია. საერთოდ, გუნდმა ბოსტონში უკეთ ითამაშა, ვიდრე კალიფორნიაში. ამის მთავარ მიზეზად ვილიამსისთვის ამპლუის შეცვლა მგონია.

„სუპერნეტი“

მწვრთნელს არ ეგონა, ასე უცებ თუ მოვუმატებდი

დასაწყისი პირველ გვერდზე

— ჩიკაგოში გუნდთან ერთად ხარ?

— არა, ჩიკაგოში მარტო ჩამოვედი, დანარჩენები კი ბოსტონიდან პირდაპირ სიეტლში გაფრინდნენ.

— შენ რატომ ჩამორჩი თანაგუნდელებს?

— საზაფხულო ლიგის თამაშები უკვე დაიხურა. ახლა აგვისტოს ბოლომდე თავისუფალი ვარ და აქ ჩამოვედი.

— გამოდის, დასასვენებლად ჩიკაგო ირჩიე.

— არა, ორ-სამ დღეში მეც სიეტლში დავბრუნდები. ჩიკაგოში მეგობართან ჩამოვედი. თან პატარა საქმეც მქონდა.

— ძალიან დაგღალა აქეთ-იქით სიარულმა?

— სიარულს ვინ ჩივის, გზაში ასე თუ ისე მაინც ისვენებ. თამაშებია საქმე, სამ კვირაში თხუთმეტი თამაში როგორია? არც მეგონა, ასეთ დატვირთვას თუ გავუძლებდი.

— გაუსაძლისი რაღა იყო?

— აბა, წარმოიდგინე, უვარჯიშებელი ხარ და თითქმის ყოველ დღე 48 წუთს პრესინგს თამაშობ. თანაც ვისთან, პროფესიონალებთან. არა, არა, საშინელებაა. მგონი, ცხოვრებაში აღარ გავეკარები საზაფხულო ლიგის თამაშებს.

— ეს შენს სურვილზეა დამოკიდებული?

— შემეძლო, ახლაც უარი მეთქვა და სიეტლში დავრჩენილიყავი, მაგრამ მე ხომ ჯერ ვარსკვლავი არ ვარ, ძალიან ბევრი მაქვს დასამტკიცებელი და თუ თავის გამოჩენა გინდა, საზაფხულო ლიგის თამაშები ამისთვის მისწრებაა.

— ვფიქრობ, ამით ბევრი რამ უკვე დაამტკიცე. თუ მატჩის ოქმებით ვიმსჯელებთ, უდავოდ საუკეთესო ყოფილხარ „სონიქსში“. არა მგონია, ამან შენს კარიერაზეც არ იმოქმედოს დადებითად. მწვრთნელმა რა გითხრა, კმაყოფილი დარჩა პოლ ვესტფოლი?

— რატომაც არა, სულ ჩემს ქებაში იყო, სტეფანიასგან ამდენს არ ველოდიო, ამბობდა. ერთხელ დამიძახა და მითხრა, ასე უცებ თუ მოუმატებდი, ვერ წარმოვიდგენდი, ასე განაგრძეო.

— ეგ კარგის ნიშანი უნდა იყოს...

— ჰო, ალბათ, რეგულარულ სეზონში უფრო მეტს მათამაშებს. მეც რწმენა შემემატა — შეუძლებელი არაფერი ყოფილა.

— ესე იგი, ღირდა ყოველდღიური ქანცგაწყვეტა...

— უბრალოდ, მართლა ძალიან დავიღალე, თორემ როდის იყო, ამაზე ვწუწუნებდი. ჩემი საქმე კალათბურთის თამაშია, რაც მე ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

სხვა მხრივ ამ სამ კვირაში ბევრი რამ შევიძინე, როგორც კალათბურთელი ერთიორად გავიზარდე. ბევრი ისეთი თვისება გამოვავლინე, რაც აქამდე მწვრთნელებს შეუმჩნეველი რჩებოდათ. ცენტრის კვალობაზე, ვფიქრობ, სამწამიანი ზონის გარედანაც არანაკლები წარმატებით გამომივიდა თამაში, რაც ვესტფოლმაც აღიარა. ერთი სიტყვით, ამ თამაშებზე „სიეტლის“ ლიდერი ვიყავი.

— ახლა ის თქვი, ნბა-ს ნაღდი ვარსკვლავები რატომ არ ეტანებიან საზაფხულო ლიგას?

— პეიტონს რომ უთხრა, წამოდი, სამ კვირაში თხუთმეტჯერ უნდა გათამაშოო, იქნებ თავში რამე ჩაგარტყას. ეს თამაშები ახალგაზრდა და გამოუცდელი კალათბურთელებისთვის არის განკუთვნილი, რომ მათ კვალიფიკაცია აიმაღლონ და შესაძლებლობებიც ბოლომდე გამოავლინონ, თორემ ნაღდ ვარსკვლავს გამოცდა და გადამოწმება რად უნდა.

— მაშ, ისინი ისვენებენ ამ ხნის მანძილზე?

— ასეა, ყველა გუნდს ჰყავს მოთამაშეთა ძირითადი ბირთვი. შვიდი-რვა კალათბურთელი, რომელთაც უკვე დაამტკიცეს თავიანთი მაღალი კლასი და ჩემპიონატში სისტემატური თამაშიც განაღდებული აქვთ. ისინი ვარჯიშს მოგვიანებით, სექტემბრის მეორე ნახევრიდან შეუდგებიან, ამასობაში კი მწვრთნელები დანარჩენებს აკვირდებიან, რათა შემადგენლობაში სხვაც ღირსეული კალათბურთელი მოხვდეს. ამიტომ ვესტფოლი ყველაფერს ზედმიწევნით წონის, უნდა, რომ შეუმცდარი გადაწყვეტილება მიიღოს, განაცხადში ისეთი მოთამაშე ჰყავდეს, რომელიც გუნდს გამოადგება.

— „სონიქსის“ ძირითადი შემადგენლობიდან რამდენი იყავით ლოს ანჯელესში და ბოსტონში?

— სამნი. მე, ლუისი და მაკკოი.

— დანარჩენები?

— დანარჩენები ახალგაზრდა, პერსპექტიული ბიჭები იყვნენ. ზოგი უნივერსიტეტიდან, ზოგიც კოლეჯიდან და ასე. ეს ის ხალხია, ვისაც ვესტფოლმა თვალი დაადგა — განაცხადში მოხვედრის კანდიდატები.

— ტრავმის საქმე როგორაა, მუხლმა კიდევ ხომ არ შეგაწუხა?

— თავიდან არა მიშავდა, ტკივილს საერთოდ ვერ ვგრძნობდი. ბოლო რამდენიმე თამაშში მუხლმა ისევ თავი შემახსენა, წამლებით ვიყუჩებდი ტკივილს. რა ვიცი, აქაური ექიმები ისევ თავისაზე დგანან, საშიში არაფერია, დროდადრო გადაგვლისო, მანუგეშებენ.

— ადგილობრივი პრესა აშუქებდა საზაფხულო ლიგის თამაშებს?

— კი, მაგრამ ზერელედ. საინფორმაციო საშუალებები ამას არცთუ დიდ ყურადღებას უთმობდნენ.

— ახლა რას აპირებ, აგვისტოს ბოლომდე კიდევ უნდა დაისვენო?

— ჯერ არ ვიცი, ვფიქრობ. ისევ, ჩიკაგოში გამომგზავრებამდე ვესტფოლმა მითხრა ჰავაიზე მხოლოდ ცენტრების შეკრება ეწყობა და ხომ არ წახვიდოდიო. უარი კი ვუთხარი, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ მათ მოგვიანებით შევუერთდე.

— შენმა უარმა მწვრთნელი ხომ არ გაანაწყენა?

— არა მგონია, ჰავაიზე წასვლა მთლიანად ჩემი გადასაწყვეტი იყო, მე კი ასე ვარჩიე. ვეჭვობ, ეს ვესტფოლს წყენოდა. ასეც რომ ყოფილიყო, შევამჩნევდი და ხათრს არ გავუტეხდი.

— დასასვენებლად წასვლას რომ აპირებდი, გადაიფიქრე?

— სიეტლშიც შევძლებ კარგად დასვენებას. ჩემი სახლი ზედ წყნარი ოკეანის სანაპიროზეა. წყლის მოტოციკლი გინდა, თხილამურები, ყველანაირი გასართობი იქვე მაქვს. რომ დავფიქრდი, მივხვდი, სხვაგან წასვლას აზრი არ ჰქონდა.

— საცხოვრებელი ბინის გამოცვლაზეც ამბობდი ამას წინათ. თუ წლეულსაც „სიეტლში“ დავრჩი, ალბათ, ბინას გამოვიცვლიო, მითხარი...

— ჰო, ვაპირებ. სიეტლში რომ დავბრუნდები, ამ საქმეს მერე მივხედავ.

— გამოდის, შენი სხვა გუნდში გაშვება, გაყიდვა, ანაც განათხოვნება გამოირიცხა?

— ეგ არასოდეს არის გამორიცხული. ვერ გაიგებ, ყველაფერს მწვრთნელი და გუნდის ხელმძღვანელობა წყვეტს.

რაც მსურდა, ყველაფერი ვკითხე, ძალიანაც არ მინდოდა ვოვას შეწუხება. ის იყო, გამომშვიდობება დავაპირე და... ახლა აქეთ მომდგა. თბილისში რა ხდებაო, კადეტებმა რა ჭესო, ისაო, ესაო... ყველაფერი აინტერესებდა.

მეც დაუზარებლად მოვუყევი აქაური ამბები — ვგრძნობდი, მართლაც ძალიან აინტერესებდა. მოკლედ, ჩვენს შორის ორმხრივი ინტერვიუ შედგა. აქაური ამბები „სარბიელის“ მკითხველმა კარგად იცის, ვოვასი კი ამჯერად ის იყო, რაც ზემოთ წაიკითხეთ.

გიორგი ბიკაშვილი

აზოტი მინისტრის გუნდს დაუპირისპირდება

ალექსანდრ ვოლკოვს უკრაინული სპორტი ჩააბარეს

უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას ბრძანებით, ქვეყნის სპორტისა და ფიზიკური კულტურის მინისტრად დაინიშნა ალექსანდრ ვოლკოვი.

არა, შეცდომა არ გახლავთ. ამიერიდან უკრაინულ სპორტს უხელმძღვანელებს 35 წლის ალექსანდრ ვოლკოვი, ყოფილი კალათბურთელი, სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი და საკალათბურთო კლუბ „ბკ კიევის" მფლობელი.

თავის ხანგრძლივი კარიერის მანძილზე ვოლკოვს უთამაშია კიევის „სტროიტელში", მოსკოვის ცსკა-ში, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის „ატლანტა ჰოქსში", პირეოსის „ოლიმპიაკოსში". შარშანდლამდე უკრაინის ნაკრებშიც ასპარეზობდა, მაგრამ მაჯის მძიმე ტრავმის გამო კალათბურთს თავი დაანება. ვოლკოვის წინამორბედები უკრაინის სპორტის მინისტრის პოსტზე იყვნენ ივან ფედორენკო და კიდევ ერთი ოლიმპიური ჩემპიონი, ყოფილი სპრინტერი ვალერი ბორზოვი.

შეგახსენებთ, რომ ვოლკოვის კლუბი „ბკ კიევი" სექტემბერში კორაჩის თასზე რუსთავის „აზოტს" ეთამაშება. რუსთაველთა ამოცანა, ალბათ, უფრო გართულდება: კიევის კლუბს ფინანსური უზრუნველყოფა არც ადრე აკლდა, ახლა კი, მით უმეტეს — მთლად სახელმწიფო დახმარებაც ექნება...

ერთი დღე პორტლენდის ცხოვრებიდან

2 აგვისტო მეტად დაძაბული დღე გამოდგა „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" უფროსობისთვის. პრაქტიკულად მთელი დღის განმავლობაში ვაჭრობა მიმდინარეობდა, მოთამაშეებს ყიდდნენ და ყიდულობდნენ, კონტრაქტებს დებდნენ და აახლებდნენ.

სპორტელის არქივიდან



დეტლეფ შრემპფი (მარცხენა ფოტოზე), სტივ სმიტი (შუაში) და ჯერმენ ონილი ერთად შეიყარნენ

შენარჩუნებული

„პორტლენდის" თავკაცობამ ჯერ შინაური საქმე მოაგვარა და 20 წლის თავისუფალ აგენტს ჯერმენ ონილს ახალი კონტრაქტი გაუფორმა. ონილი ლიგის 156 თავისუფალ აგენტს შორის ყველაზე ახალგაზრდაა, ამიერიდან იგი კიდევ ოთხ წელიწადს დაჰყოფს პორტლენდში. ფინანსური საკითხები არ გახმაურებულა, თუმცა კალათბურთელმა თქვა: ლიგის ერთ-ერთი გუნდი ერთწლიანი კონტრაქტით 9-10 მილიონ დოლარს მთავაზობდა, მაგრამ უარი ვუთხარიო.

208-სანტიმეტრიანი ონილი ფარზე კარგ მოთამაშედ ითვლება, მაგრამ წინა სეზონში არვიდას საბონისის, რაშიდ უოლესის და ბრაიან გრანტის ჩრდილქვეშ მოექცა. იგი 1996 წლის დრაფტის მე-17 ნომერია. „პორტლენდმა" იგი პირდაპირ სკოლიდან, უნივერსიტეტის გვერდის ავლით აიყვანა.

თავის ახალი კონტრაქტის შესახებ ონილს ბევრი არაფერი უთქვამს, სამაგიეროდ სამომავლო გეგმებზე ისაუბრა: „მინდა პორტლენდში გავატარო მომავალი 10-15 წელიწადი. ორსამ სეზონში ჩემს შესაძლებლობებს გამოვავლენ, მერე ახალი კონტრაქტის დროც მოვა. იმდენს მივაღწევ, რომ „პორტლენდი" ჩემს მაისურას დარბაზში დაკიდებს".

„თრეილ ბლეიზერსის" პრეზიდენტმა და გენერალურმა მენეჯერმა ბობ უიტსიტმა აღნიშნა: „ონილი ყოველ წელს უმატებს. მას არ მიუღწევია თავის შესაძლებლობების მაქსიმუმისთვის და ამიტომ, ზრდას გააგრძელებს".

გაცვლილნი

ონილთან ურთიერთობა რომ გაარკვია, „პორტლენდის" უფროსობა ატლანტიდან მოსულ წინადადებას ჩაუჯდა და მას ოფიციალური სახე მისცა: „თრეილ ბლეიზერსიდან" „ატლანტა ჰოქსში" გადავიდნენ აიზია რაიდერი და ჯიმ ჯეკსონი, მათ სანაცვლოდ „ჰოქსმა" სტივ სმიტი და ედ გრეი გაიღო.

ამ გარიგების პროექტი დიდი ხანია არსებობს. პორტლენდელები დიდხანს ფიქრობდნენ ატლანტელთა წინადადებაზე და პრაქტიკულად, ყველაფერზე ყაბულს იყვნენ. ერთი ვერ გადაეწყვიტათ: რაიდერთან ერთად „ჰოქსში" ჯეკსონი გაეშვათ თუ კელვინ კატო. საბოლოოდ, არჩევანი ჯეკსონზე შეჩერდა.

ამ ოთხეულიდან ყველაზე ცნობილი და გამოცდილი 30 წლის სტივ სმიტია. კარიერის განმავლობაში (ატლანტამდე თამაშობდა „მაიამი ჰითში") მატჩში საშუალოდ 17,4 ქულა, 3,9 მოხსნა და 4,1 პასი გაუკეთებია. სმიტის „პორტლენდში გადაყვანით „ატლანტა ჰოქსს" მომავალი ოთხი სეზონისთვის 36 მილიონი დოლარი გამოუთავისუფლდა.

ამ შემთხვევაში სმიტის მეწყვილე, 23 წლის ედ გრეი „ატლანტამ" 1997 წლის დრაფტის პირველ წრეში აირჩია. ორი სეზონის განმავლობაში მან მატჩში საშუალოდ 6,2 ქულა, 1,2 მოხსნა და 0,8 პასი მოთვალა.

28 წლის აიზია რაიდერი კარგ თამაშთან ერთად უდისციპლინობითაცაა ცნობილი. ბოლო სეზონში მან სამი მატჩი გამოტოვა დისკვალიფიკაციების გამო, სულ კი, სამწლიან პორტლენდურ კარიერაში 12 თამაშით ყოფილა დასჯილი. მომავალ სეზონში რაიდერი 5,4 მილიონ დოლარს მიიღებს. მისი საშუალო მაჩვენებლები კი 18 ქულა, 4 პასი და 2,8 მოხსნა.

29 წლის ჯეკსონს ბევრი კლუბი მოუვლია. ამ ხეტიალ-ხეტიალში მატჩში საშუალოდ 17,5 ქულისთვის, 4,8 მოხსნისთვის და 3,9 პასისთვის მიუღწევია. მომავალ ორ სეზონში კალათბურთელი 3 მილიონ დოლარს ჩაიჯიბავს.

შემატებული

ორიოდ დღის წინ იყო, „სიეტლ სუპერსონიქსმა" თავის გერმანელ ფორვარდს დეტლეფ შრემპფს წელიწადში ერთი მილიონი დოლარი რომ შესთავაზა გასამრჯელოდ. გაბრაზებულმა შრემპფმა ამგვარ წინადადებას „დამამცირებელი" უწოდა და დაიქადნა: ან „პორტლენდში" გადავალ, ან კალათბურთს თავს დავანებებო. მერე კი ოდნავ მოლბა და თქვა, თუკი „სონიქსის" ხელმძღვანელობა არ გამაგდებს, ჩემით არსად წავალო.

„სონიქსმა" კი უარყო უფლება შრემპფზე, რაც, ფაქტიურად, გუნდიდან გაგდების ტოლფასია. დეტლეფსაც ბევრი აღარ უფიქრია და „თრეილ ბლეიზერსს" შეეხმიანა. პასუხმაც არ დაიგვიანა: „პორტლენდის" ბოსებმა შრემპფის კონტრაქტი დღის ბოლოს გააფორმეს, „ატლანტა ჰოქსთან" ჩატარებული სავაჭრო ოპერაციის დამთავრებიდან სამიოდ საათში.

შრემპფი „პორტლენდში" ორ წელიწადს დარჩება და ამ ხანში 4,2 მილიონ დოლარს მიიღებს. მას „იუტა ჯაზი" და „სან ანტონიო სფურზი" ეპატიჟებოდნენ. განსაკუთრებით „სფურზი" აქტიურობდა: გერმანელი თირკმლების დაავადებით შეჰყრობილი შონ ელიოტის შემცვლელად ესახებოდა. შრემპფმა სხვაგვარად განსაჯა და თავი პორტლენდში ამოყო.

ალბათ გახსოვთ, შრემპფი დაჟინებით ამბობდა, სათამაშოდ იმ ქალაქის გუნდში წავალ, რომელიც სიეტლიდან ყველაზე ახლო იქნებაო. ეს იმიტომ, რომ დეტლეფს ოჯახის სიეტლიდან აბარგება არ სურდა — იქ მისი მეუღლე მუშაობს, ხოლო ორი ვაჟიშვილი — სწავლობს. ჰოდა, ამ გარიგებაშიც არაფერია მოულოდნელი.

ასე დამთავრდა „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" უფროსობისთვის ამ წელიწადში ჯერჯერობით ყველაზე დაძაბული დღე. 2 აგვისტოს საღამოს სამი კაცი პორტლენდისკენ მიმავალ თვითმფრინავის ბილეთებზე ზრუნავდა, ორი — პორტლენდიდან მიმავალზე. ერთი კაცი ბასამგზავრებლად გამზადებულ ჩემოდანს უკან ალაგებდა, ხოლო ამ მოძრაობის გამომწვევებს მშვიდად ეძინათ: მათი აზრით, ზემოაღნიშნული კაცების მისვლა-მოსვლა კიდევ უფრო გააძლიერებს მათ სამწყსოს, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბს „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსს".

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

თავისუფალი აგენტების ბაზარი

2 აგვისტო

დეტროიტ პისტონზი: შეინარჩუნა ფორვარდი ჯოდ მიუელერი (მრავალწლიანი კონტრაქტი); აიყვანა „მილუოკის" ყოფილი უკანახაზელი მაიკლ კარი (მრავალწლიანი კონტრაქტი).

ფინიქს სანზი: აიყვანა „კლიპერსის" ყოფილი ფორვარდი როდნი როჯერსი.

პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი: შეინარჩუნა ფორვარდი ჯერმენ ონილი (ოთხწლიანი კონტრაქტი); აიყვანა „სიეტლის" ყოფილი ფორვარდი დეტლეფ შრემპფი (ორწლიანი კონტრაქტი).

საკრამენტო კინგზი: შეინარჩუნა ფორვარდი სკოტ პოლარდი.

სიეტლ სუპერსონიქსი: შეინარჩუნა ცენტრი ჯელანი მაკკოი (ორწლიანი კონტრაქტი).

უკანასკნელ ორლანდოელს მუსლიმ ფრანგში ცვლიან

„ორლანდო მეჯიქი" 1989 წლიდან თამაშობს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში და იმავე წელს პირველად მიიღო მონაწილეობა დრაფტში. არსებობის მანძილზე „მეჯიქის" პირველი არჩევანი გახლდათ ილინოისის უნივერსიტეტის უკანახაზელი ნიკ ანდერსონი. იქიდან მოყოლებული და გუშინწინდლამდე ანდერსონი „ორლანდოს" ერთგული იყო — იგი ერთადერთი მოთამაშეა რომელიც გუნდს თავდაპირველი შემადგენლობიდან შემორჩა.

ორშაბათს კი გაცხადდა, რომ ანდერსონისა და „მეჯიქის" ურთიერთობას ბოლო ეღება. ფლორიდული კლუბი დათანხმდა „საკრამენტო კინგზის" წინადადებას: ტარიკ აბდულ-ვაჰადში ანდერსონს იძლევა.

თავად ანდერსონმა ეს ამბავი შეიტყო ლოს ანჯელესში, სადაც საქველმოქმედო მატჩში მონაწილეობდა და აღნიშნა: „მთელს ჩემს ორლანდოურ კარიერას თან სდევდა ხმები, რომ თითქოს კლუბი გაყიდვას მიპირებენ. ყველ წელს სადღაც გადავდიოდი, მაგრამ საბოლოოდ „მეჯიქში" ვრჩებოდი. ვგონებ, ახლა ჩემი სხვაგან გადასვლა ნამდვილად მოხდება. მიყვარს ორლანდო, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ახალ გარემოშიც კარგად ვიგრძნობ თავს".

ანდერსონი 31 წლისაა და ათწლიანი კარიერის მანძილზე მატჩში საშუალოდ 15,4 ქულა და 5,3 მოხსნა გაუკეთებია. მისი გაცვლა „ორლანდოს" გაახალგაზრდავების გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

კაცი, რომელშიაც ანდერსონს ცვლიან, გახლავთ 24 წლის ფრანგი უკანახაზელი ტარიკ აბდულ-ვაჰადი. „საკრამენტო კინგზმა" იგი 1997 წლის დრაფტში აიყვანა მე-11 ნომრად. მაშინ ამ კალათბურთელს ოლივიე სენ-ჟანი ერქვა. მერე მან რჯული შეიცვალა, აღიარა ისლამი და ტარიკ აბდულ-ვაჰადად იქცა. მისი საშუალო მაჩვენებლები 9,3 ქულა და 3,8 მოხსნაა. იგი უფრო დაცვითი სტილის მოთამაშედაა აღიარებული, მაგრამ ყველა მიიჩნევს, რომ შეტევაში საქმე გამოსასწორებელი აქვს.

მინესოტამ ვალი მიიღო

„მინესოტა ტიმბერვულვზმა" და ახალბედა ფორვარდმა ვალი შჩერბიაკმა დაასრულეს მოლაპარაკებათა სერია, რომელიც კონტრაქტის ორმხრივი ხელმოწერით დაგვირგვინდა. შჩერბიაკი „მინესოტაში" სამ წელიწადს ითამაშებს და ამ ხნის განმავლობაში 5,28 მილიონ დოლარს მიიღებს. კონტრაქტში კიდევ ერთი პუნქტია გათვალისწინებული: თუკი კალათბურთელი მეოთხე წელსაც მოინდომებს „ტიმბერვულვზში" დარჩენას, კლუბმა მას 2,3 მილიონი დოლარი დამატებით უნდა გადაუხადოს.

203-სანტიმეტრიანი შჩერბიაკი „მინესოტამ" წლევანდელ დრაფტში მეექვსე ნომრად აიყვანა. სულ ახლახან ვალი ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების ღირსებას იცავდა სიდნეის ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირში. იქ მან მატჩში საშუალოდ 3,4 ქულა გააკეთა და თავის წვლილი შეიტანა აშშ-ის მიერ ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვებაში.

შჩერბიაკი მაიამის (ოჰაიოს შტატი) უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. წინა სეზონში მან გუნდი ამერიკის სტუდენტური ჩემპიონატის 16 უძლიერესში გაიყვანა, სადაც პირველ წრეში ვაშინგტონის უნივერსიტეტის ძლევისას 43 ქულა გააკეთა (კარიერის რეკორდი).

1998 წელს შჩერბიაკმა აშშ-ის ნაკრების შემადგენლობაში „კეთილი ნების თამაშები" მოიგო, ხოლო მატჩში საშუალოდ 17,2 ქულა გააკეთა.

ლონგლი მშობლიურს ყიდულობს

„ჩიკაგო ბულზის" ყოფილმა ცენტრმა, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სამგზის ჩემპიონმა, ავსტრალიელმა ლუკ ლონგლიმ ჯიბეზე ხელის გაკვრა გადაწყვიტა. ლონგლი დათანხმდა ავსტრალიის ნაკრებში თანაგუნდელის ენდრიუ ვლაჰოვის წინადადებას და ავსტრალიური საკალათბურთო კლუბის „პერტ უაილდქეთსის" აქციათა 75 პროცენტს შეიძენს. აღსანიშნავია, რომ ადრე ლონგლი „პერტში" გამოდიოდა.

ამჟამად 30 წლის ლონგლი „ფინიქს სანზში" ასპარეზობს. მას ოთხი წლის შემდეგ უმთავრდება კონტრაქტი. ავსტრალიელს არაერთხელ უთქვამს, რომ კონტრაქტის დამთავრების შემდეგ სიამოვნებით დაბრუნდება სამშობლოში და „პერტში" ითამაშებს.

ამერიკაში მოღვაწე ავსტრალიელი სპორტსმენებისთვის სამშობლოში ინვესტიციის ჩადება უცხო როდია. ამ წლის დასაწყისში ავსტრალიელმა ბეისბოლისტმა, „მილუოკი ბრუერზის" მოთამაშემ დეივ ნილსონმა ავსტრალიის ბეისბოლის ლიგა შეიძინა.

CAMPEONATO AFRICANO MASCULINO — ANGOLA

აფრიკის ჩემპიონატი. 29 ივლისი - 6 აგვისტო. ანგოლა

2 აგვისტო

I ჯგუფი

კაბო ვერდე — მაროკო 73:71, მალი — სენეგალი 78:77, ეგვიპტე — ალჟირი 83:49

ეგვიპტე	4	4	0	288:199	8
სენეგალი	4	2	2	261:221	6
ალჟირი	4	2	2	258:269	6
კაბო ვერდე	4	2	2	263:262	6
მალი	4	2	2	242:288	6
მაროკო	4	0	4	205:278	4

II ჯგუფი

მოზამბიკი — სამხრეთ აფრიკა 69:62, ანგოლა — ტუნისი 79:48, ნიგერია — კოტ დივუარი 80:69

ანგოლა	4	4	0	332:177	8
ნიგერია	4	3	1	293:234	7
ტუნისი	4	2	2	198:200	6
კოტ დივუარი	3	1	2	131:158	4
მოზამბიკი	3	1	2	166:240	4
სამხრეთ აფრიკა	4	0	4	190:301	4

ეს ვერცხლიც ნინო სალუქვაძის კოლექციაში

ბადრი კეთილაძის ფოტო

ნინო სალუქვაძემ თავის ჯილდო-მედალთა და ტიტულთა მდიდარ კოლექციას ევროპული ვერცხლიც შემატა. ეს ამბავი საფრანგეთის ქალაქ ბორდოში დასრულებულ სპორტული პისტოლეტით მსროლელთა ევროპის ჩემპიონატზე მოხდა.

საუკეთესო ღვინოებით განთქმულ მხარეს 48 ქვეყნის 600 სპორტსმენი ეწვია. სპორტული პისტოლეტით სროლაში კი 62 ქალი ეჯიბრებოდა ერთმანეთს. ოქროსათვის ნინო სალუქვაძემ და ბულგარელმა მარია. გროზდევამ იბრძოლეს. წინასწარ სროლებში ჩვენებურმა 588 ქულა მოაგროვა, ბულგარელმა — ერთით მეტი. ფინალურ სერიაშიც უფრო ზუსტი გროზდევა იყო. მის მიერ მოპოვებულ 102,1 ქულას ნინომ მხოლოდ 99,9 დაუპირისპირა. ასე რომ, ოქრო ბულგარელს ერგო, სალუქვაძე ვერცხლს დასჯერდა, ბრინჯაო კი ბელარუსმა ევგენია გალუშკომ მოიპოვა.

სამპრასი მეფობის მეტ კვირას მიითვლის

პიტ სამპრასი

ლინდსი დევენპორტი

ამერიკელი პიტ სამპრასი ATP-ს კლასიფიკაციაში ორშაბათიდან კვლავ პირველ საფეხურზე დამკვიდრდა. ეს კვირა მის კარიერაში 271-ე იქნება „პირველი ჩოგნის“ რანგში, რაც ჩოგბურთის ისტორიაში ახალი რეკორდია.

კვირას ლოს ანჯელესის ტურნირის მოგებით სამპრასმა ავსტრალიელ პატრიკ რაფტერს ჩამოართვა მსოფლიოში უძლიერესის ტიტული. მწვანე კონტინენტის წარმომადგენელმა, რომელსაც სამპრასთან არცთუ კეთილი გრძნობები აკავშირებს, კლასიფიკაციის სათავეში მხოლოდ ერთი კვირა გაძლო.

გუშინწინდლამდე უძლიერესად ყოფნის ხანგრძლივობის რეკორდსმენობის პატივს პიტი ყოფილ ჩეხოსლოვაკიელ ივან ლენდლთან იყოფდა, ვისაც 270 კვირის მანძილზე არ ჰყოლია ტოლი. ბერძნული წარმოშობის ამერიკელს პირველი ჩოგნობა ლოს ანჯელესის ტურნირის ფინალში გასვლითვე დაებევებინა, მაგრამ ანდრე აგასის მაინც არ მოაგებინა და თავისი 59-ე ტიტულიც მოიხვეჭა.

დიდი სლემის ტურნირებზე ერთეულებში მიღწეული გამარჯვებებითაც გამორჩეულია სამპრასი. თუმცა ამაში მას ჯერ კიდევ ჰყავს „მოწილე“. ავსტრალიელ როი ემერსონსაც მასსავით 12-ჯერ მოუგია ყველაზე პრესტიჟული ოთხეულის ფინალური მატჩები.

შეხვდება თუ არა პიტი 12 აგვისტოს, თავის დაბადების დღეს (იგი 28 წლის გახდება), უძლიერესად? ალბათ, შეხვდება, რითიც კიდევ უფრო გაზრდის მსოფლიოს ჩოგბურთზე ბატონობის დროს. ისე, საინტერესოა ისიც, რომ ATP-ს კლასიფიკაციის დამკვიდრების დღიდან ყველაზე დიდი ხნით პირველობის შემნარჩუნებელი მოწინავე ოთხეული მთლიანად ამერიკულია: პიტ სამპრასი — 271 კვირა (ჯერ-ჯერობით), ივან ლენდლი — 270 კვირა, ჯიმი კონორსი — 268 კვირა და ჯონ მაკინროი — 170 კვირა.

კლასიფიკაცია

	ქალები:			ვაჟები	
1.1	ლინდსი დევენპორტი (აშშ)	5582	1.2	პიტ სამპრასი (აშშ)	3775
2.2	მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	5293	2.1	პატრიკ რაფტერი (ავსტრალია)	3664
3.3	შტეფი გრაფი (გერმანია)	4365	3.3	ანდრე აგასი (აშშ)	3422
4.4	ვინუს უილიამსი (აშშ)	3495	4.4	ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი)	3273
5.5	მონიკა სელეში (აშშ)	3303	5.5	ტიმ ჰენმანი (ინგლისი)	2634
6.6	მარი პირსი (საფრანგეთი)	2639	6.6	გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)	2436
7.7	იანა ნოვოტნა (ჩეხეთი)	2188	7.7	რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია)	2431
8.8	არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი)	2128	8.8	ალექს კორეტხა (ესპანეთი)	2350
9.9	ამანდა კუტცერი (ს. აფრიკა)	2034	9.9	ტოდ მარტინი (აშშ)	2332
10.10	ნატალი ტოზია (საფრანგეთი)	1935	10.10	გრეგ რუზეიკი (ინგლისი)	2307
11.11	სერენა უილიამსი (აშშ)	1819	11.11	მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია)	2295
12.13	ანა კურნიკოვა (რუსეთი)	1818	12.12	კარლოს მოია (ესპანეთი)	2259
14.17	სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი)	1712	13.13	მარსელო რიოსი (ჩილე)	2237
15.14	დომინიკ ვან რუსტი (ბელგია)	1658	14.14	კარლოს კუჩერა (სლოვაკეთი)	2071
16.15	ჟული ალარი (საფრანგეთი)	1669	15.16	ტომი ჰაასი (გერმანია)	2205
17.16	ამელი მორესმო (საფრანგეთი)	1651	16.16	ფელიქს მანტია (ესპანეთი)	1827
18.18	კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი)	1534	17.17	ნიკოლას კიფერი (გერმანია)	1673
19.19	პატი შნიდერი (შვეიცარია)	1419	18.18	ტომას ენკვისტი (შვედეთი)	1626
20.21	ირინა სპირლეა (რუმინეთი)	1357	19.19	დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი)	1591
			20.25	ალბერტ კოსტა (ესპანეთი)	1567

ვინ რამდენი $ მოიხვეჭა 1999-ში

ქალები:

1	მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	1 534 180	11	მარი პირსი (საფრანგეთი)	319 192
2	ლინდსი დევენპორტი (აშშ)	1 253 013	12	ელენა ლიხოვცევა (რუსეთი)	312 857
3	შტეფი გრაფი (გერმანია)	1 189 667	13	ამელი მორესმო (საფრანგეთი)	311 726
4	ვინუს უილიამსი (აშშ)	926 582	14	ამანდა კუტცერი (ს. აფრიკა)	303 870
5	სერენა უილიამსი (აშშ)	662 671	15	ნატალი ტოზია (საფრანგეთი)	286 257
6	ანა კურნიკოვა (რუსეთი)	541 624	16	კორინა მორარიუ (აშშ)	283 080
7	იანა ნოვოტნა (ჩეხეთი)	525 029	17	კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი)	262 592
8	მონიკა სელეში (აშშ)	469 180	18	ჟული ალარი (საფრანგეთი)	252 995
9	არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი)	338 346	19	ბარბარა შეტი (ავსტრია)	247 685
10	ნატაშა ზვერევა (ბელარუსი)	326 162	20	ლიზა რაიმონდი (აშშ)	242 389

ჰენრის სიურპრიზი

სამხრეთული და ჩრდილოური რაგბის დაპირისპირება დიდი ხანია, გრძელდება და, ალბათ, არასდროს დასრულდება. დღემდე უპირატესობა სამხრეთელების მხარესაა და, ვგონებ, კარგა ხნითაც. იქაური მოთამაშეები ამიტომაც ფასობენ ძვირად ევროპაში. ბებერი კონტინენტის წარმომადგენლები არაფერს იშურებენ იმისთვის, რომ თავიანთ გუნდებში, ნაკრებებშიც კი, უცხოტომელები იხილონ, მოთამაშეებიც და მწვრთნელებიც. ამის დასტურად უელსიც გამოდგება. უელსელები ამ საუკუნის ბოლო მსოფლიოს თასის მოპოვებას რომ ესწრაფიან, იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ მწვრთნელად მთელ მსოფლიოში უდიდესი ავტორიტეტის მქონე ახალზელანდიელი სპეციალისტი გრეჰემ ჰენრი ჰყავთ. აკი თქვა კიდეც საქართველოში ჩვენი მწვრთნელების გასაწვრთნელად ჩამოსულმა უელსელმა ჯეისონ ლუისმა, ჰენრის უმაღლესი დონის მწვრთნელს ვერ უწოდებ, ის განსაკუთრებული მოვლენაა სარაგბო სამყაროშიო. მწვრთნელი მწვრთნელად, მაგრამ უელსელებმა ახლა სამხრეთელი მოთამაშეების გადაბირებასაც მიჰყვეს ხელი. ჯერ იყო და ნაკრებში ახალზელანდიაში დაბადებულ-გაზრდილი და იქაური მოქალაქე შეინ ჰოვართი გამოჩნდა, რომელსაც, როგორც ამბობენ, ძარღვებშე უელსური სისხლი უჩქეფს, ახლაა და გუშინ ჰენრის მიერ მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებლად გამოძახებულ 30 კაცს შორის 22 წლის ავსტრალიელი ჯეისონ ჯონს-ჰაგისი მოხვდა, მობურთალი, რომელიც თავის დროზე ავსტრალიის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა. მისი ნაკრებში მიწვევა უელსელებისთვის ნამდვილი სიურპრიზი იყო, რადგან საზოგადოებამ არაფერი იცოდა, რომ მოთამაშესთან მოლაპარაკება ორ თვეს გრძელდებოდა. ჯონს-ჰაგისის ნაკრებში მიწვევა კი იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ მას მამა უელსელი ჰყოლია.

ბუნებრივია, მწვრთნელის ასეთ გადაწყვეტილებას მომხრეებიც გამოუჩნდნენ და მოწინააღმდეგენიც, თუმცა რაც მთავარია, მას ქვეყნის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ დაუჭირა მხარი. ჰენრის თქმით, ჯეისონი ძალიან ნიჭიერი მოთამაშეა, რომელიც მნიშვნელოვნად გააძლიერებს უელსელთა უკანა ხაზს. თავად მობურთალი კი თავს უელსელად თვლის და ფრიად მოხარულია, რომ მას ნაკრებში უხმეს. „მიჭირს სიტყვებით გადმოვცე ის, რასაც ახლა განვიცდი. დიდი მადლობა ყველას, ვისაც ჩემი ნაკრებში მიწვევა სურდა. მე თავს უელსელად ვთვლი და სამშობლოსთვის ყველაფერს გავაკეთებ, შეუძლებელსაც კი“.

პატრიოტული სულისკვეთება ჯონს-ჰაგისს ნამდვილად არ დაეწუნება, აი, მოედანზე რისი მაქნისია ორ თვეში გამოჩნდება.

ჯიმ ტელფერს არავინ გაჰკიდებია



ჯიმ ტელფერი

ამ ბოლო დროს მოხშირებულმა მწვრთნელთა ცვლამ არც შოტლანდიას უგანა და... მსოფლიოს თასის მერე სკოტებს ახალი თავკაცი ეყოლებათ — იან მაკგიჩენი, კაცი, რომელიც ერთხელ უკვე წვრთნიდა შოტლანდიის ნაკრებს და 1990 წელს ხუთი ერის პირველობაც მოაგებინა. მას შემდეგ სკოტებს ასეთი წარმატებისთვის არ მიუღწევიათ, თუმცა ისიც ფაქტია, რომ შოტლანდიელთა ახლანდელი თავკაცის — ჯიმ ტელფერის ხელმძღვანელობით, რომელიც ამავე დროს „ბრიტანელი ლომების“ მთავარი მწვრთნელიცაა, გუნდმა მნიშვნელდოვნად გაუმჯობესა თამაშის ხარისხი, რისი დასტურიც წლევანდელი ხუთი ერი და მას შემდეგ გამართული ტესტ-მატჩებია. და მაინც, ქვეყნის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მსოფლიოს თასის მერე ნაკრებს ახალი მწვრთნელი ეყოლება. ამის უპირველესი მიზეზი თავად ჯიმ ტელფერია, რომელმაც ორი თვის წინ განაცხადა, რომ მსოფლიოს თასის მერე დატოვებდა თანამდებობას.

რაგბის კავშირში არავის უცდია, მწვრთნელისთვის აზრი შეეცვლევინებინა. პირიქით, იმავე დღეს დაიწყეს ახალი თავკაცის ძებნა და ამის გამო შოტლანდიური მასმედიის რისხვაც დაიმსახურეს.

მაკგიჩენი შოტლანდიელებს ოთხი წლის განმავლობაში გაწვრთნის. სწორედ ასეა განსაზღვრული მასსა და ქვეყნის რაგბის კავშირს შორის დადებულ ხელშეკრულებაში. თუმცა ეს ყველაფერი მსოფლიოს თასის მერე მოხდება. მანამდე კი... ჯიმ ტელფერმა დაასახელა იმ 33 მობურთალის ვინაობა, რომლებიც 10 აგვისტოდან დაიწყებენ მზადებას მსოფლიოს უპირველესი სარაგბო ტურნირისთვის. ამ სიაში მოხვდნენ გარემარბი შონ ლონგსტაფი და მორკინალი გორდონ სიმპსონი, რომელთაც სკოტთა სამხრეთაფრიკულ ტურნეში არ მიუღიათ მონაწილეობა. გუნდშია აგრეთვე ახალგაზრდა უკანახაზელი ჯეიმს მაკლარენი, რომელმაც ნაკრების შემადგენლობაში პირველად სწორედ სამხრეთ აფრიკაში ითამაშა და მწვრთნელს თავიც მოაწონა. სამაგიეროდ შემადგენლობაში ვერ მოხვდა „ბათის“ მერვე ნომერი ერიკ პეტერსი. მას მუხლი აქვს დაზიანებული, თუმცა არაა გამორიცხული, მსოფლიოს თასზე მოთამაშე 22 მორაგბეს შორის მაინც მოხვდეს.

მზადების პირველ ათ დღეს სკოტები მთაში გაივლიან, შემდეგ კი ბარში დაეშვებიან და 21 აგვისტოს „მარიფილდზე“ არგენტინას, 28 აგვისტოს კი „ჰემპდენ პარკზე“ რუმინელებს გაეჯიბრებიან.

პაატა თოთაძე

სად არის შექსპირი?!
დიდი ამბები დიდი ვნებებია

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

დიადმა სცენარისტმა — განგებამ ფორმულის წლევანდელი ჩემპიონატისთვის, ეტყობა, საგანგებოდ მოიცალა. მოულოდნელობა და სიახლე იმდენია, დავთრები კი არა, თავგზა აერია ყველას, ვისაც რაიმე კავშირი აქვს ფორმულასთან. დღეს ერთ რიგით სპორტის მოყვარულზე მეტი თვით ფორმულა 1-ის ჩემპიონატის პატრონმა ბერნი ეკლსტოფნმაც არ იცის. არ იცის იმიტომ, რომ ფორმულაში ბევრი რამ და ბევრი ვინმე ისე აიმღვრა, როდის დალაგდება და დაინწმინდება ეს ყოველივე, ერთმა ღმერთმა იცის...



სარბიელის არქივიდან

„ჰოკენჰაიმზე“ გამარჯვების მერე ედი ირვინმა აქო და ადიდა თანაგუნდელი მიკა სალო

ედი ირვინი: მოწყალე ტრიუმფატორი

— ამ რბოლისას ერთი ხანობა ისე გამიჭირდა, პირველობის იმედი აღარც მქონდა, ბედსლა მივენდე და, ღვთის მადლით, მანაც არ მიღალატა. ამიტომ მინდა, რომ ვთქვა: ეს გამარჯვება მე კი არ მოვიპოვე, თავად ჩამივარდა ხელში...

გერმანიის დიდ პრიზზე გამარჯვების შემდეგ, პრესკონფერენციაზე, ედი ირვინი, როგორც ტრიუმფატორს შეშვენის, გულახდილი და მოწყალე იყო. ჟურნალისტებმაც არ დაახანეს და ჰკითხეს ის, რაც ყველას განსაკუთრებით აინტერესებდა: სამი წელი „ფერარიში“ გერივით იყავით, როცა რბოლას ლიდერობდით, იცოდით, ბოქსებიდან მალე გიბრძანებდნენ, შუმახერს დაუთმე გზა, წინ ის გაატარეო. ახლა რას გრძნობდით, როცა ვითარება სრულიად საპირისპირო იყო — „შენ ჩამორჩი, ის გაატარე“ გიბრძანეს არა თქვენ, არამედ თქვენს თანაგუნდელ სალოს...

— ძალიან კარგად მახსოვს, რას ვგრძნობდი მაშინ და იმასაც გეტყვით, რა იყო ახლა. არავითარი ბრძანება არ ყოფილა. ტრასაზე მოვლენათა განვითარების შესაძლო ვარიანტები წინასწარ გავთვალეთ, ბევრ რამეზე მოვილაპარაკეთ და შევთანხმდით. ამიტომაც მიკა ნებით მითმობდა გზას. იგი გადასარევი ბიჭია! ამ რბოლის ვარსკვლავი სწორედ ის იყო, მან, ფაქტობრივად, გაიმარჯვა და მთავარი პრიზიც უნდა მიეღო. ამიტომაც, სულაც არ ვაპირებ, თასი მე შევირჩინო — თავს ძალიან უხერხულად ვიგრძნობ, ეს პრიზი ჩემს კოლექციაში რომ დარჩეს. მე იგი უნდა გადავცე მიკას, რომელმაც ის ყველაფრით და ყველანაირად დაიმსახურა...

ირვინი რომ ყოყლოჩინა კაცი არ არის და არც გააზნაურებული მდაბიოს კომპლექსები სჭირს, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ საკუთარ თავსაც და შექმნილ ვითარებასაც საკმაოდ რეალისტურად აფასებს.

— პატარა რომ იყავით, მთვარეზე გაფრენა ხომ გინდოდათ? მერე, წამოზრდილი მიხვდით, რომ ეს შეუძლებელია და ამაზე აღარც გიოცნებიათ. აი, მეც უკვე დიდი ბიჭი ვარ და თან დიდი რეალისტიც საიმისოდ, ჩემპიონის ტიტულზე ვიფიქრო. წინ კიდევ ბევრი რბოლაა და ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. თანაც, მუდამ მახსოვს, რომ „ჰოკენჰაიმზე“ ჩვენ კი არ გავიმარჯვეთ, „მაკლარენმა“ წააგო. ეს გუნდი ამჟამად, სულ ცოტა, ერთი თავით მაინც გვჯობნის. თუმცა, ვფიქრობ, მომდევნო ეტაპზე, „ჰუნგარორინგზე“ „მაკლარენებზე“ სწრაფი უნდა ვიყო, რადგან სხვებისგან განსხვავებული ეს ტრასა პილოტირების ჩემეული სტილისთვის ზედგამოჭრილია. თანაც მიკა სალო უკვე გაუშინაურდა ბოლიდს, „ფერარის“ რიტმსაც ფეხი აუწყო და ახლა კარგად შეკრული გუნდივით ვართ. თუ იღბალმა არც მერე მიგვატოვა, ჩემპიონობაზეც ვიფიქრებთ და კონსტრუქტორთა თასზეც.

...საკითხავი აი, ეს არის

მიკა სალოს, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული მრბოლის ესოდენ ნაუცბათევმა და მყისიერმა აღზევებამ არა მხოლოდ ბევრი სალაპარაკო, არამედ ბევრი საფიქრალიც გააჩინა.

— სულ ერთი კვირაა, ეს ბიჭი შუმის „ფერარიში“ ჩაჯდა და კვალიფიკაციაზე მეოთხე ადგილი დაიკავა, რბოლაში კი მეორე იყო — მხრებს იჩეჩავს ავტოსპორტში ჭიპმოჭრილი ხალხი და ზოგი თავისთვის, ფიქრში, ზოგიც ხმამაღლა კითხულობს — სიგიჟე ხომ არ გამოდის, ამდენი მილიონი მიაყარა ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ შუმახერს, როცა უფლებებსა და მოვალეობებში გათანაბრებულ ორ კარგ მრბოლს, ირვინსა და სალოს სავსებით ძალუძთ წარმატების მიღწევა. თანაც ამ პილოტებთან საქმის დაჭერა, თუ მეტი არა, ხუთჯერ იაფი მაინც ჯდება.

„ფერარის“ ტვინად წოდებული როს ბრაუნი, რომლის სტრატეგიულმა გამჭრიახობამ სკუდერიას არაერთი წარმატება მოაპოვებინა, არც ცდილა, თავისი სიმპათიები დაემალა:

— მიკა სალო ძალიან, ძალიან კარგი მრბოლია, იმაზე უკეთესი, მე რომ მეგონა. ეს უაღრესად ნიჭიერი კაცი, მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, მიჩუმათებული იყო. უვარგის ბოლიდებში მჯდომს ნიჭისა და უნარის სრულად გამოვლენის შანსი აქამდე არც მისცემია. საბედნიეროდ, იგი ახლა „ფერარიშია“ და იმედი მაქვს, ჩვენი ხელშეწყობით თავსაც გამოიჩენს. მე მჯერა, რომ მას ბევრი შეუძლია.

„ფერარის“ ტექნიკური დირექტორის ეს სიტყვები რომ ძალიანაც ანგარიშგასაწევია, ეს თავისთავად, მაგრამ როცა მას ბანს აძლევს გუნდის პატრონი, „ფიატის“ ექსპრეზიდენტი ჯანი ანიელი, საქმეს უკვე სხვა პირი უჩანს. ანიელი. დიდი ხანია, მოწყალე თვალით უყურებს სალოს, არაროხელ უთქვამს, ეს ფინელი ნამდვილად ჩინებული პილოტიაო და, ჰოკენჰაიმური წარმატების მერე-რადა გაანრებდა მთელი იტალიის გასაოგნად აქა და ადიდა „გადასარევი ფინელი და წარმოუდგენელი ირლანდიელი“.

ერთი სიტყვით, ბევრის გონებას ჭიასავით შეუჩნდა იჭვნეული კითხვა, შუმის „ფერარისთან“ უმტკიცესი კონტრაქტი კი აკავშირებს, მაგრამ იქნებ იტალიელებს მობეზრდათ გერმანელის ხუშტურები, თან ჯერ ირვინი და ახლა სალოც ასე უცებ „წამოიჩიტნენ“ და...

ჯერ ნურაფერს ვიტყვით, გამოვიჩინოთ წინდახედულება — წლევანდელ ფორმულაში ხომ ყველაფერი ხდება. ერთი კი აუცილებლად სათქმელია: მიხაელ შუმახერი ახლა საავადმყოფოში კია და ტკივილებთან ერთად სხვაც ბევრი (ალალად და უფრო ზუსტად ვთქვათ — სხვათა წარმატებანი) უკაწრავს გულს, მაგრამ ის ქართული ანდაზაც გავიხსენოთ, აქლემი ისე როგორ დაეცემა, ვირის სპალნე ვერ იტვირთოსო, რომ შეგვაგონებს.

შენ ცხარობ, ესე იგი, ტყუი

შუმის და „შუმისტებს“ რომ წონასწორობა და მოსვენება დაეკარგათ, ეს არც არის გასაკვირი. გალაღებული ფავორიტისთვის ძნელია თამაშგარეთ დარჩენა და სათვალავში რომ არ აგდებდა, იმისთანა მეტოქეების წარმატებათა შორიდან ცქერა. არც მისი თაყვანისმცემლებისთვისაა ადვილი მოსანელებელი ის, რომ „ეს ვიღაც-ვიღაცეები“ უშუმახეროდაც მშვენივრად აკეთებენ საქმეს. ჰოდა, აძაგერდა და გაცხელდა გულები, ბრაზი გაერია ხმებში, ვინღა დაეძებს ზრდილობას, ეთიკის დაწერილ თუ დაუწერელ ნორმებს, ასაკსა და სიდარბაისლეს...

ჟან ტოდტმა, „ფერარის“ სპორტულმა დირექტორმა, შუმახერის თავგამოდებულმა მომხრემ ისიც კი იკადრა, რომ „ჰოკენჰაიმის“ ბრწყინვალე დუბლის (1 ირვინი, 2 სალო) მერე, რომელიც „ფერარის“ აგერ უკვე 27 წელია, არ ღირსებია, პოდიუმზე არ ავიდა პრიზის მისაღებად და არც ირვინსა და სალოს მიულოცა.

ზეზვა მიგრიაული

მიხაელ შუმახერი:
გადახდა უნდა ვალსაო

მიხაელ შუმახერი

ირლანდიელი ედი ირვინის ბოლოდროინდელ წარმატებებზე იმდენი დაიწერა და ითქვა, შესაძლოა, თავიც კი მოგაბეზრეთ, მაგრამ „ფერარის“ პილოტი, რომ აშკარად იმსახურებს საქებარ სიტყვებს ამაზე კამათიც არ ღირს. ამბობდა ედი — მომეცით შანსი, „ფერარის“ პირველ ბოლიდს მივუჯდე და გამარჯვებებიც არ დაახანებსო. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ირვინის სიტყვები ახდა. ზედიზედ ორი დიდი პრიზი — ავსტრიასა და გერმანიაში. თუმცა აქვე ისიც უნდა ვთქვათ, ირლანდიელის პირველპილოტობას მიხაელ შუმახერის ავარიაში მოტეხილმა ფეხმაც რომ შეუწყო ხელი. ცხადია, „შუმისტები“ ძალიან განიცდიან თავიანთი კერპის ამბავს, თან გულს ისიც უხეთქავთ, რომ მავანთ მიხაელის შესაძლებლობები გაზვიადებულად მიაჩნიათ და არც თუ იშვიათად ამბობენ, — ნახეთ, ირვინი რა მაგარი ყოფილა, ამდენ ხანს შუმახერის ჩრდილში ამყოფესო.

ბევრი იმასაც ამბობს, შუმახერის გამოჯანმრთელების მერე ირვინი ძნელად თუ შეელევა პირველპილოტობასო, ჰოდა არის ერთი ორომტრიალი. ამ დროს კი, უფრო სწორად, გუშინ, გერმანელმა მრბოლმა ისეთი რამ განუცხადა ჟურნალისტებს, რომ ადვილი შესაძლებელია, მისმა ნათქვამმა ათასგვარ მითქმა-მოთქმას წერტილი დაუსვას.

ერთი სიტყვით, შუმიმ, ედი ჩინებულად ასპარეზობს და გულით ვულოცავ გამარჯვებას, იგი ბევრჯერ დამხმარებია და ახლა ჩემი ჯერია, რბოლებს როცა დავუბრუნდები, „ფერარის“ მეორე პილოტი ვიქნები და ირვინს გაჩემპიონებაში დავეხმარები, მოკლედ, გადახდა უნდა ვალსაო.

ბრაიმ ნიუსი

ჩვენმა გზებმა ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტის ფილიპ ალიოს „მერსედესიც“ გამოსცადა

ქარავანი მიდის, გზები რჩება
ბაქოდან თბილისში მარტო ნავთობი არ მოდის

ფრანგი პიერი დელავერნის გამარჯვებით დასრულდა „რალი-რეიდის“ მსოფლიოს თასის მეშვიდე ეტაპის ბაქო-თბილისის მონაკვეთი ავტომობილების კლასში. საერთო ჩათვლაში ლიდერობს პარიზ-დაკარის წლევანდელი გამარჯვებული, ფრანგი ჟან-ლუი შლესერი, რომელიც დელავერს 28 წუთსა 38 წამს უგებს. მესამეზე კი შლესერის თანაგუნდელი ესპანელი ხოსე მარია სერვიაა, რომელიც შლესერს 36,58 წუთით ჩამორჩება. შლესერი და სერვია შლესერის კონსტრუქციის „ბაგის“ ტიპის ავტომობილებით ასპარეზობენ.

მოტოციკლეტთა კლასში ბაქო-თბილისის მონაკვეთი მოიგო იტალიელმა ფაბრიციო მეონიმ, საერთო ჩათვლაში დაწინაურდა ფრანგი ტიერი მანიალდი, რომელიც საათსა და 41 წუთს უგებს მეორე ადგილზე მყოფ გერმანელ ნორბერ შილშერს.

2-3 აგვისტოს საქართველოში გაიარა „რალი-რეიდის“ მსოფლიოს თასის მეშვიდე ეტაპმა, რომელსაც მინჭებული აქვს მეოთხე კატეგორია, რაც იმას ნიშნავს, რომ თავისი სირთულით და მნიშვნელობით იგი უტოლდება ამ თასის პირველ ეტაპს — პარიზ-დაკარის მარათონს.

ჟან ლუი შლესერის გარდა რბოლაში მონაწილეობდნენ მსოფლიოს უძლიერესი მრბოლები — პარიზ-დაკარის სამგზის გამარჯვებული ბრუნო საბი, ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი ფილიპ ალიო და ტიერი მინიალდი. ასპარეზობამ სტარტი აიღო მოსკოვში 25 ივლისს. ხოლო დასრულდება 8 აგვისტოს სტამბოლში. საქართველოში ასეთი დონის ავტომოტორბოლა პირველად იმართება. რბოლის მარშრუტი გადის რუსეთი-ყაზახეთი-თურქმენეთი-აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის ტერიტორიაზე.

მთებში რბოლა მონაწილეებს მხოლოდ საქართველოში მოუწევთ. დისტანციის საერთო სიგრძეა 7200 კმ. მანძილის ნახევარი ჩქაროსნულია. საქართველოში სპორტსმენებს გასავლელი აქვთ 350 კილომეტრი. აქედან 170 ჩქაროსნული. ეს მონაკვეთი თეთრი წყაროდან წალკის გავლით ასპინძამდეა.

ბრაიმ ნიუსი

ბრაიმ ნიუსი

მოტოქარავანს ფრანგი ტიერი მანიალდი მიუძღვის

შავი ზღვა გულში გვიხუტებს

რეგიონალურ სპორტულ თამაშებს საკმაო ისტორია აქვთ და ისინი დიდი პოპულარობითაც სარგებლობდნენ, მაგრამ მერე ზოგმა ასეთმა კომპლექსურმა შეჯიბრებამ რატომღაც ხიბლი დაკარგა. თუმცა, ბოლო წლებში ისინი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მფარველობით კვლავ გაიხსენეს და განახლებული სახით ააღორძინეს, ანაც ახალი დააარსეს. მაგალითად, ასეთებია ბალკანეთის ქვეყნების, ან ბალტიის აუზის ქვეყნების სპორტული თამაშები.

ამგვარ რეგიონალურ თამაშებს ემატება კიდევ ერთი შავი ზღვის აუზის სპორტული თამაშები, რომელიც 7 სექტემბერს დაიწყება თურქეთში, სადაც საქართველოს წარმომადგენლებიც იასპარეზებენ.

რეგიონალურ სპორტულ თამაშებზე საქართველოს წარმომადგენლებმა ძალა პირველად სცადეს შარშანწინ სოფიაში, სადაც ბალკანიადა გაიმართა. მაშინ ბალკანიადამ კარი გაუღო შავი ზღვის აუზის ქვეყნებსაც, ახლა კი ამ აუზის სახელმწიფოებს საკუთარი სპორტული ფორუმიც ეწყებათ.

როგორც საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სპორტის მთავარი სამმართველოს უფროსმა ამირან აბესაძემ გვითხრა, ამ თამაშებში ჩვენი ქვეყნისა და მასპინძელთა გარდა ჩაერთვებიან ბულგარეთის, მოლდოვას, რუმინეთის, უკრაინისა და რუსეთის გუნდები. ჩვენი დელეგაცია დაახლოებით 180 კაცით გაემგზავრება თურქეთს, სადაც სპორტის 15 სახეობაში იასპარეზებს. ესენია: მძლეოსნობა, მშვილდოსნობა, ცურვა, კრივი, ფრენბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, ტაეკვანდო, ძალოსნობა, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძიუდო, სროლა, მხატვრული ტანვარჯიში და ფეხბურთი. ამ უკანაკნელის გარდა საქართველო ყველა სახეობაში პირველი ნაკრებებით გამოვა, ფეხბურთში კი ეს არ ხერხდება მისი გადატვირთული კალენდრის გამო. შეჯიბრებები გაიმართება ტრაბზონში, რიზეში, სამსუნში, ართვინში, ორდუში...

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ასპარეზობებისთვის კეთილმოწყობილ სპორტულ ბაზებთან და სასტუმროებთან ერთად დიდი თანხებია საჭირო, როგორც ამირან აბესაძემ გვითხრა, საქართველოს სურს უმასპინძლოს შემდგომ შავი ზღვის აუზის თამაშებს, რომლის გამართვას ბათუმსა და ფოთში ფიქრობენ.

ამგვარი თამაშები ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ შავი ზღვის აუზის ქვეყნებში ჩატარდება ოლიმპიურ თამაშებამდე ერთი წლით ადრე. ამდენად, ეს თამაშები მეტად მნიშვნელოვანი იქნება ჩვენთვისაც, განსაკუთრებით მოჭიდაველებისთვის, რადგან შავი ზღვის აუზის თამაშები სწორედ იმ ქვეყნებს მოუყრის თავს, რომლებსაც სპორტის ამ სახეობებში (თავისუფალი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა და ძიუდო) დიდი ტრადიციები და მიღწევები გააჩნიათ. ამ ქვეყნების წარმომადგენლები ერთმანეთს ბრძოლაში დაზვერავენ და საერთოდ, რაც მეტ შეჯიბრებაში გამოვალთ, მით უკეთ მოვემზადებით გნებავთ მოახლოებული, გნებავთ სხვა ოლიმპიური თამაშებისთვის.

გიგა გურასაშვილი

სტამბოლი ისევ იბრძვის

სტამბოლს სურს უმასპინძლოს 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს. თურქეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა სინან ერდემმა ეს განაცხადა ცურვაში ევროპის ჩემპიონატის დასკვნით დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე.

სტამბოლი 2000 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვისაც იბრძოდა, მაგრამ სიდნეისთან ხელი მოეცარა, თუმცა მაშინ თურქეთის ეს ქალაქი ფავორიტთაგანი არ ყოფილა. ერდემის თქმით, სტამბოლი არის იმ ექვს ქალაქს შორის, რომლებსაც 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა უნდათ.

თურქეთის ცურვის ფედერაციის პრეზიდენტის ჰალუკ თოიგარლის განცხადებით, მის ფედერაციას გარდა იმისა, რომ ახლახანს უმასპინძლა ევროპის ჩემპიონატს, სურს 2005 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის პატივიც მიიღოს მარათონულ ცურვაში, რომლის ჩატარებას სტამბოლში ფიქრობენ.

თურქთა ასეთი მისწრაფებანი მიმართულია ისევ და ისევ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების მოპოვებისაკენ. დიდი საერთაშორისო ტურნირების ჩატარება ხომ კარგი საშუალებაა იმის წარმოსაჩენად, თუ რა დონეზე შეგიძლია მათი მასპინძლობა და საერთოდ ორგანიზაციულად უზრუნველყოფა.

ალბათ ამით აიხსნება თურქეთში შავი ზღვის აუზის პირველი სპორტული თამაშების მიღებაც, რომელიც სექტემბერში გაიმართება.

გიგა გურასაშვილი

ჭადრაკი

სექტემბრიდან მსოფლიოს ჭადრაკს ხუთი ჩემპიონი ეყოლება

კირსან ილუმჟინოვი



გარი კასპაროვი

ანატოლი კარპოვი

ჟუჟა პოლგარი

ფლეულს მსოფლიოს საჭადრაკო ფედერაციას (ფრანგული აბრევიატურით — ფიდე) 75 წელი უსრულდება და საოქტომბროდ ყატარში დაგეგმილი მორიგი კონგრესის პარალელურად იუბილესთან დაკავშირებით შესაფერისი რაოდენობის ღონის და ღვინისძიებათა ჩატარებაცაა გათვალისწინებული. თუმცა, მკითხველმა თავადაც კარგად უწყის, რომ ფიდეს წლეულს ზეიმის საბაბი ჭეშმარიტად არა აქვს. მსოფლიო საჭადრაკო მოძრაობა ისე გახლეჩილი არასოდეს ყოფილა, როგორიც ახლაა; არასოდეს არ გასჩენია მას იმდენი მემარცხენე თუ მემარჯვენე ოპოზიციონერი, მდედრი თუ მამრი, რამდენიც წლეულს. როცა ჭადრაკის მამებს რამდენიმე წლის წინ გარი კასპაროვი აუჯანყდა, მაშინ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ლაპარაკი ცალკეული პიროვნების კაპრიზებსა და ურჩობაზე, მაგრამ ახლა, როცა ფიდეს უკვე აღარ ემორჩილება აღარც მამაკაცი ჩემპიონი (კასპაროვი) და აღარც ქალი (ჟუჟა პოლგარი), როცა განდგა თავად ფედერაციის ვერსიითვე აღიარებული ჩემპიონი (კარპოვი), როცა რეიტინგით მეორე და მეოთხე მოჭადრაკეებმა, ანანდმა და მოროზევიჩმა, წლის მთავარ შეჯიბრს, მსოფლიოს ჩემპიონატს უგანეს (თანაც ამ უკანასკნელმა, მეტი რომ არ ვთქვათ, ბავშვური მიზეზების გამო, ანუ ფაქტობრივად წინასწარგანზრახულად), დაბოლოს, როცა მრავალი და მრავალი დრტვინავს ფიდესადმი უკმაყოფილებით აღვსილი, ეს უკვე აღარაა არც კაპრიზი, არც შეთქმულება, არც ხუნტა და არც პუტჩი. ეს უკვე რევოლუციის პირველი ნიშნებია.

ჩვენს მიზანს, რასაკვირველია, არ წარმოადგენს ფიდესა და ოპოზიცი(ებ)ის კონფლიქტში მტყუან-მართლის დასახელება, საამისოდ კომპეტენტურობა გვაკლია. უბრალოდ, მკითხველს მომხდარის მოკლე წინაისტორიას წარვუდგენთ და მასთან ერთად გავერკვევით, თუ რამ მიიყვანა მსოფლიო ჭადრაკი სათაურში აღწერილ, ალბათ, მართლაც კურიოზულ სიტუაციამდე, რომელიც ერთობ დიდი ალბათობით ერთ თვეში რეალობად უნდა იქცეს.

ფიდე 1924 წელს დაარსდა და, რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, 22 წლის განმავლობაში ვერაფრით ვერ მოახერხა მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვის საქმეებში ცხვირის ჩაყოფა. 1922 წლიდან მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე მყარად მოქმედებდა ლონდონის შეთანხმება, დადებული ერთი მხრივ ჩემპიონ კაპაბლანკასა და მეორე მხრივ იმ დროის უცნობილეს მოჭადრაკეებს შორის (ალიოხინი, ბოგოლუბოვი, რუბინშტეინი, ვიდმარი). შეთანხმების მიხედვით ჩემპიონის მატჩში გამოწვევა მხოლოდ მსოფლიო სახელის მქონე მოჭადრაკეს შეეძლო; იგივე შეთანხმება გამორიცხავდა ყოველგვარ შესარჩევ ტურნირებს ჩემპიონთან მატჩისთვის 10 000 დოლარიან მინიმალურ საპრიზო ფონდს ითვალისწინებდა. ეს იმ დროს დიდი ფული იყო და ბევრმა ელემენტარულად ამის გამო ვერ მოახერხა თამაში. მოკლედ, მოქმედებდა პრინციპი: „წოდება „ჩემპიონი" ეკუთვნის ჩემპიონს" და ასე გაგრძელდა ალიოხინის სიკვდილამდე. გენიალური რუსი დაუმარცხებლად ჩავიდა საფლავში და უჩემპიონოდ დარჩენილი საჭადრაკო სამყარო, როგორც იქნა, ფიდეს ხელში აღმოჩნდა დამკვიდრდა შესარჩევი ტურნირები, პრეტენდენტთა მატჩები და ბოლოს ჩემპიონ-პრეტენდენტის ფინალური მატჩი. ეს სისტემა უეჭველად ლონდონის შეთანხმებაზე სამართლიანი იყო და იქ, ალბათ, ფიდეს უნდა მივემხროთ. სხვათა შორის, ომამდელი პრინციპების აღდგენას და შესაბამისად საჭადრაკო მონოპოლიის დამკვიდრებას უკიჟინებენ დღეს კასპაროვსაც, თუმცა ამ უკანასკნელმა ახლა რომც მოინდომოს, რაიმე სრული შესარჩევი ციკლების ჩატარება მაინც ძლიერ გაუჭირდება, რადგან მოჭადრაკეთა ფართო მასები ჯერ კიდევ ფიდეს მიჰყვებიან.

ახლა ვაგრძელებთ: ომისშემდგომ პერიოდში, როცა ჭადრაკის მსოფლიოს ჩემპიონატები საბჭოთა კავშირის შინაურ საქმედ იქცა, ჩემპიონებსა თუ სხვა მოჭადრაკეებს ფიდესთან მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ გამოჩნდა ბობოქარი ფიშერი და ჭადრაკში დაამკვიდრა ის, რაც შემდგომი კონფლიქტების უმთავრეს მიზეზად იქცა და დღესაც რჩება: ფული. ბოტვინიკ — სმისლოვის ფინალის საპრიზო ფონდი 5000 მანეთი იყო, სპასკი-ფიშერისა — 200 000 დოლარზე მეტი, ხოლო კარპოვ-კორჩნოის პირველ საჩემპიონო დუელში სპონსორებმა არც მეტი, არც ნაკლები, მილიონი დოლარი ჩადეს. ფიდემ ყურები ცქვიტა; აქ უკვე მრგვალ თანხებზე იყო ლაპარაკი და საჭირო კანონიც ჭადრაკის მამებმა უმალ გამოაცხვეს: ამიერიდან საპრიზო ფონდის 5 პროცენტი ფიდესიაო. ცოტა ხანში ფედერაციას სათავეში ფილიპინელი ფლორენსიო კამპომანესი ჩაუდგა და კანონი ცოტათი შეცვალა, რაც ფიდეს წილის 25 პროცენტამდე გაზრდაში გამოიხატა და ეს იმ დროს, როცა თავად ფული მოჭადრაკეების საშოვნელი იყო, ფიდე უბრალოდ, თითის გაუნძრევლად მეოთხედს ღებულობდა და მორჩა. აქ შეიძლება ითქვას, რომ ეს მეოთხედი მასობრივი ჭადრაკის განვითარებაზე იხარჯებოდა, მაგრამ მომკალით და ვერ დავიჯერებ, რომ ფიდეს ცენტრალური და ადგილობრივი ჩინოვნიკები ყველაფერს კაპიკ-კაპიკ ანაწილებდნენ; და საერთოდაც, მეოთხედი ფიდეს, შემდეგ გადასახადებიც — ამ ყველაფრის გამოქვითვით მოჭადრაკეს მთელი ატმიდან ალბათ კურკაზე არცთუ ბევრად მეტი რჩებოდა. კასპაროვი საბჭოთა პერიოდში ჩუმად იყო, მაგრამ დაინგრა თუ არა ძმური იმპერია, დაიქოქა და შედეგს თავადაც ხედავთ; მისგან დაარსებულ პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაცია მალე მსოფლიოს საჭადრაკო საბჭოდ იქცა და სპონსორები საბჭოსათვის უეჭველად ბევრად მეტი ხალისით ხარჯავენ ფულს, ვიდრე ფიდესთვის. კასპაროვის აწ უკვე ყოფილი სპონსორებიდან კომპიუტერებში ოდნავ გათვითცნობიერებულთათვის მეტად ნაცნობი კომპიუტერული გიგანტის, „ინტელის" დასახელებაც საკმარისია. დღესაც, ანანდთან მომავალი მატჩისთვის, ჩემპიონმა იოლად გამოძებნა 3 მილიონი დოლარი საპრიზო ფონდისთვის მაშინ, როცა ფიდეს ლას ვეგასის ფინალისთვის იგივე თანხის შოვნა ბევრად მეტ ოფლისღვრად დაუჯდა.

კასპაროვ-ფიდეს კონფლიქტს კამპომანესი შეეწირა, ხოლო მის ადგილას მოსულმა კირსან ილუმჟინოვმა ჩემპიონის ფულს თავისი და ყალმუხი მშრომელების გამომუშავებული ფული დაუპირისპირა. დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ ილუმჟინოვი დამარცხდა, ხოლო ფიდე სრულმა ქაოსმა მოიცვა. კასპაროვს სულ ახლახან მიჰბაძა ჟუჟა პოლგარმა და ტიტულის დაცვაზე უარი განაცხადა (მიზეზებზე „სარბიელში" ვწერდით). ფიდემაც, ჯანდაბამდე გზა გქონიაო და ქალთა ჩეპიონის გამოსავლენ მატჩად პირდაპირ გალიამოვა — სიუ ჟუნის შეხვედრა დაასახელა. სამაგიეროდ, ჟუჟას პროექტით იგი იუდით პოლგართან „მსოფლიოს ქალთა აბსოლუტური ჩემპიონის" ტიტულს გაითამაშებს და თანაც ფიდეს გარეშე. ამაზე, ეტყობა, პატარა პოლგარიც თანახმაა.

მოკლედ, ქალებს ორი ჩემპიონი ეყოლებათ. ამდენივე უკვე ჰყავდათ მამაკაცებს და ახლა კი უკვე მათი რაოდენობის გაზრდაზეა ლაპარაკი. მკითხველმა იცის კარპოვის ამბავი, ლას ვეგასში რომ არ წავიდა სათამაშოდ. ახლა კი ირკვევა, რომ ფიდეს ჩემპიონი სრულიადაც არაა უარზე, ამერიკაში გამარჯვებულთან ცალკე ფინალური მატჩი ითამაშოს, მაგრამ ფიდე უკვე ურყევია. ილუმჟინოვმა ერთ-ერთ ინტერვიუში კარპოვის ამერიკაში არჩასვლა მისი ფორმაში არყოფნით ახსნა და გარკვევით განაცხადა, რომ ლას ვეგასში გამარჯვებული გამოცხადდება მსოფლიოს მეთოთხმეტე ჩემპიონად და მას დაფნის გვირგვინით შეამკობენ. კარპოვი, ცხადია, ელოდა მოვლენათა ამგვარ განვითარებას და წინასწარ კარგი ადვოკატებით შეიარაღდა, რათა თავისი ტიტული ამჯერად არა ჭადრაკის დაფასთან, არამედ სასამართლო ინსტანციებში დაიცვას. სხვათა შორისი, ანალოგიურად მოიქცა ჟუჟა პოლგარიც.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მონასტერი აირია და ძნელი სათქმელია, რით, როდის და როგორ დამთავრდება ეს ყველაფერი. ერთი სარწმუნო პროგნოზი ის გახლავთ, რომ ერთიანი მსოფლიოს ჭადრაკი საბოლოოდ დასამარდა და მალე ამ ბრძენთა თამაშის ორგანიზაციული მხარე პროფესიული კრივისას დაემსგავსება. ალბათ, აქაც იქნება სხვადასხვა ასოციაციები, საბჭოები, ორგანიზაციები თუ ფედერაციები.

იქნებ ასეც სჯობდეს?

დავით გულუა

ქართველს რუმინელი ერგო

ლას ვეგასში მიმდინარე ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი წრე უკვე ჩამთავრდა და გაირკვა ოცდამეთორმეტედფინალში გასული იმ 37 მოჭადრაკის ვინაობაც, 27 რჩეულთან ერთად რომ გააგრძელებენ ბრძოლას. რჩეულებს შორის არიან ისეთი განთქმული მოჭადრაკეები, კრამნიკი, შიროვი, ლეკო, იუდით პოლგარი, ბარეევი, ტოპალოვი, ადამსი და, რაც ჩვენთვის მთავარია, ზურაბ აზმაიფარაშვილი რომ არიან. ჩვენებურის მეტოქე პირველ წრეში ლივიუ-ლიტერ ნისიპეანუსა და სტეფან ჯურიჩის დუელს უნდა დასახელებინა. რუმინელმა მეტოქეს უცებ აწვნია ორი ნოკაუტი და შემდეგ ეტაპზე გავიდა. აზმაიფარაშვილ-ნისიპეანუს პირველ შეტაკებაში თეთრებით ჩვენებური ითამაშებს.

REUTERS ბუქარესტიდან

ჩაუშესკუნი წავიდნენ, ნადია დარჩა

ამ ფოტოზე აღბეჭდილი მომღიმარი ქალი, სახელოვანი რუმინელი ტანმოვარჯიშე, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ნადია კომანეჩია. გარდა იმისა, რომ 80-იან წლებში ნადიამ სპორტული მიღწევებით გაითქვა სახელი, მსოფლიოს თავი ერთი გახმაურებული ისტორიითაც დაამახსოვრა: ჩაუშესკუს რეჟიმს, განსაკუთრებით კი რუმინეთის დიქტატორის ვაჟს ნიკუს ოკეანისგაღმა გაექცა და თავი ამერიკას შეაფარა. მას შემდეგ ნადია შტატებში მოღვაწეობს, თუმცა არც ძველი სამშობლო დავიწყებია — ამ დღეებში ბუქარესტში ჩასულა, იქაური გოგონები წაუვარჯიშებია და მათ ტანმოვარჯიშეთა აკადემიის დაარსებასაც შეპირებია.

აარონ პაპას მონაყოლი

— ერთი ბიჭი გვყავდა, სტაბი კლეპი ერქვა. კარგი ბიჭი იყო, ყველაზე მეტად მისი მალაყები გვიყვარდა, თუ მოვიგებდით, ზღვაში ზურგსუკან გადაგდებული მონეტასავით აყირავდებოდა ხოლმე სიხარულისგან. ერთხელ, მახსოვს, მექსიკას მოვუგეთ 9:2. ბრინჯაოს მედლები ჩამოვიკიდეთ, სტაბიმ ისე გაიხარა, რომ პირდაღებული ვუყურებდი, მხარზე ხელის დასაკვრელად მისვლაც კი ვერ მოვახერხე — დაახლოებით ასე მოუყვება შვილიშვილებს კანადელი ბეისბოლისტი აარონ გიუელი ორიოდ დღის წინ ვინიპეგში, პანამერიკულ თამაშებზე მომხდარ ამბავს.



REUTERS ვინიპეგიდან

კასპაროვი — მსოფლიო

1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7 კg7-e5 21. h2-h3 ეa8:a4 22. ეa1:a4 ლb4:a4



ავსტრია

VI ტური

ლინცერი	1:3	გრაცერი
ლუსტენაუ	1:3	ტიროლი
ზალცბურგი	0:1	ბრეგენცი
შტურმი	2:1	რიდი

შვედეთი

XV ტური

იურგარდენი	0:2	ჰალმსტადი

REUTERS ვინიპეგიდან

ნეტავი თქვენსა მამებსა

დარბიხარ, თავს არ ზოგავ, ჯანმრთელობას სწირავ და... ჩავისაფრდება რომელიმე ფოტორეპორტიორი, გააჩხაკუნებს აპარატს და მთელს დედამიწას აჩვენებს პოზას, რომელშიც თუ აღმოჩნდებოდი, ვერასდროს წარმოიდგენდი. ისე, ნეტავ რას ფიქრობენ მექსიკელი სინიორა რუბალკაბასა (მარცხნივ) და კანადელი მის თუ მადმუაზელ კარინა ლებლანკის მამები თავიანთი ქალიშვილების ამ ჯიხვობანას შემყურე. ფეხბურთის მოყვარულებს კი ვაცნობებთ, რომ მექსიკისა და კანადის ქალთა ნაკრებების ეს პანამერიკული მატჩი 2:2 დამთავრდა, პენალტებით კი მექსიკამ გაიმარჯვა 5:2.

REUTERS ლონდონიდან

ვახ! გაგიჟდები კაცი

არა, ბატონო, რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ. ჩვენთან მინისტრი ამას იკადრებს? მინისტრი კი არა ვინც გინდა იყოს, რა თანამდებობის პირი, „დასტოინად“ გეტყვის, ჩემთვის ვინ მოიგებს, სულ ერთია, მთავარია, ღირსეულმა გაიმარჯვოსო. ინგლისში კი, შეხედე, რა ხდება. ეს ქალი, კეიტ ჰოი, რამდენიმე დღეა, სპორტის მინისტრად დანიშნეს და „მანჩესტერ იუნაიტედის“ პრეზიდენტის მარტინ ედაურდსის გვერდით მის გუნდზე „არსენალის“ გამარჯვებას ზეიმობს. აი, სუპერთასზე 2:1 რომ მოუგო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli

ეროვნული ბიბლიოთეკა